

140  
1969

ՀԱՅԿԵՆԿԱՆ  
ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ




**ՀԱՄԵՆԻՆ 9**  
1969



ეროვნული  
წიგნობის  
კავშირთა

# ჩემი სკოლა სიკეთის წყარო!



აჰა, მოფრინდა  
მშვენიერი სექტემბრის დილა,  
მზიანმა ფრთებმა  
უთვალავი სივრცე დასერეს;  
ახლა კი ბაფთებს,  
ჭრელ-ჭრელ ბაფთებს უკოცნის ფრთხილად  
თვალგაბრწყინებულ პირველკლასელებს.

ეს ყვავილებიც  
იმდაგვარი მორცხვობით ბრწყინავს,  
კეთილმა ხელმა  
ამ დღისთვის რომ მიჰკონ-მოჰკონა,  
რომ თვითონვე ჰგავს  
მშვენიერი სექტემბრის დილა  
დასაჩუქრებულ ბეჯით გოგონას!..

სხივები მზისა  
სკოლის მაღალ ჭერს შეესია,—  
მზემაც ჟრიამულს  
ფუტკარივით მხარი აუბა;  
ახლა კი ჯერი  
კვლავ შენზეა, მხოლოდ შენზეა  
ჩვენი სამშობლოს ოქროს თაობავ!

რეკავს და რეკავს  
ხმაწკრიალა სექტემბრის ზარი,  
გრძელ დერეფნებშიც  
გაბმულია სიჩუმის თოკი  
და ზედ გაფენილ  
მოგონებებს, ბავშვური კრძალვით  
არხევს ნიავი, მთიდან რომ მოქრის.

ბრწყინავს სექტემბრის  
დაფიონი ოქროცურვილი  
და ნორჩი გულიც  
იდუმალი იმედით ხარობს;  
ჩირაღდანს ქარი აძლიერებს,  
სწავლას—წყურვილი,—  
დროა ეძიოთ სიკეთის წყარო!

მთარ შალაგვიძე.



# შედეგად აღზრდილთა სახიფათო

საქართველოს ალკი მხარდაჭერის კომიტეტის და ვ. ი. ლენინის  
სახელობის ნორმალური მუსიკალური სკოლის ჩინოვნიკის  
საბჭოს ყოველთვიური საგანგებო შეხვედრა



## კანცელი

• საქმეებზე • 1969  
ბათუმის 43-ე წელი

საქ. კვ. მხარის გამომცემლობა

### თ ა მ ა უ ი

აღბათ ყველას გიყვართ „ომო-  
ბანას“ თამაში. გიყვართ და დიდი  
ცილობაცა გაქვთ ხოლმე, ვინ  
იქნება „ჩვენები“ და ვინ კი-  
დეც „მტერი“. აღბათ თქვენი-  
ვე გამოჩინებული ხმლებითა და  
თოფებით, ხის ცხენებზე გადამ-

ჯღარნი ბევრჯერ შეგმინებთ  
„მომხდურს“ და დავიმარცხები-  
ათ კიდევ. თქვენ უბრალოდ, მხო-  
ლოდ ძალ-ღონის გამოსაცდელად  
თამაშობთ, მაგრამ ასეთი თამა-  
შის დროს მართო ძალ-ღონე არ  
კმარა. ხერხი და გამჭრიახობა,  
გონიერება და სხვა ბევრი რამის  
ცოდნაც არის საჭირო.  
აი, უკვე სამი წელია რაც ბი

საბ. სტანდ.  
კვლევითი  
ლიტერატურა

ონერ მოსწავლეები ჩაებნენ სა-  
კავშირო სამხედრო-სპორტულ თა-  
მაშ „ცისკარში“. ამ თამაშობით  
ნორჩი არმიელები ეზიარნენ მამა-

ბათუმსა და ქობულეთში  
გამართულ სამხედრო-სპორ-  
ტული თამაშების „ცისკარის“  
მონაწილენი.



პაპათა საგმირო საქმეებს, გაეც-  
ნენ საბჭოთა არმიელის ცხოვრე-  
ბას და ბევრი ისეთი რამ შეისწავ-  
ლეს, რაც ყველა საბჭოთა ახალ-  
გაზრდამ უნდა იცოდეს სამშობ-  
ლოს დასაცავად.

წლებანდელი თამაშის რესპუბ-  
ლიკური ფინალი ბათუმსა და  
ქობულეთში ჩატარდა. ფინალში  
მონაწილეობის უფლება თოთხმე-  
ტი სკოლის ნორჩ არმიელთა  
რაზმს ხედა წილად: გორის, ზეს-  
ტაფონის, ჩოხატაურის, თელა-  
ვის, ლავოდების, ახალციხის რა-  
იონებისა და ბათუმის, ქუთაისის,  
სოხუმის, ფოთის, ცხინვალის,  
თბილისის 23-ე და 128-ე საშუა-  
ლო სკოლებს. ფინალურ თამაშ-  
ში კონკურსს გარეშე ბათუმის  
მე-15 და თბილისის 138-ე საშუა-  
ლო სკოლებიც გავიდნენ.

## პარადი ლენინის ქებლთან

პირველი დღე ბათუმის მახ-  
ლობლად, ხელვაჩაურში დაიწყო  
— დიდ მოედანზე. აქ შეკრები-  
ლიყვნენ ნორჩ არმიელთა რაზმე-  
ბი, სამხედრო პირები, კომკავში-  
რის ცენტრალური კომიტეტის  
წარმომადგენლები, ბევრი სტუ-  
მარი. განსაკუთრებული მღელვა-  
რება დაუფლებოდა ყველას.

რაზმები დროშების გასწვრივ  
დგებიან მწყობრში, ემზადებიან  
პატაკისათვის. პატაკს „ცისკარის“  
რესპუბლიკური შტაბის ერთ-ერთ  
წევრი იბარებს. ის კი თავის  
მხრივ უპატაკებს „ცისკარის“ რეს-  
პუბლიკური შტაბის ფინალის  
უფროსს!

იწყება დათვალიერება: სამ-  
წყობრო სიმღერებისა, აღჭურვი-



ლობისა, სროლისა. იწერება პირველი ქულები.

სალამოს კი ბათუმის მთავარ მოედანზე — ლენინის ძეგლთან დიდი პარადი იმართება. უწყვეტ ნაკადად მოედინება ხალხი, დიდ ზეიმზე დასასწრებლად. ხალხით მოაბიჯებენ, დროშებს მოარხევენ საგანგებო ფორმაში გამოწყობილი პიონერ-მოსწავლეები, ოფიცრები... ისმის დაფდაფის ხმა, გუგუნებს ორკესტრი!

ისმის განკარგულება! უბატაკებენ თბილისელი კახა ფოცხიშვილი, გორელი ალა ლუკანინა, ქუთაისელი გურამ მოსელიანი და ასე რიგრიგობით...

მერე კი — ფიცი გმირების მოსაგონებლად...

დაფნის გვირგვინით ამკობენ ლენინის ძეგლს.

ტრიბუნა საპატიო სტუმრებს ეთმობა.

საზეიმო მარშის ხმაზე აღიმართება „ცისკრის“ ალამი.

პარადი მთავრდება და ფინალის მონაწილეები მიეშურებიან პიონერთა პარკისაკენ, სადაც მათთვის აჭარელ მოსწავლეთა თვითმოქმედმა ანსამბლმა „მერცხალმა“ გამართა დიდი კონცერტი.

ასე მთავრდება პირველი დღე.

## მგაღება

მეორე დღეს ქალაქის ორი მთავარი სტადიონი დაეთმო ფინალის მონაწილეებს. „დინამოს“ სტადიონზე პიონერული ოთხჭიდი იმართებოდა. „ქარიშხალას“ სტადიონზე კი სამოქალაქო თავდაცვაში ეჯიბრებოდნენ რაზმები. ამიტომაც გაისმოდა შეძახილები: „მოიმარჯვეთ აირწინალები!“ „განკარგულება რაც შეიძლება სწრაფად და ზუსტად შეასრულეთ!“...

მართალია, ავტომატები, ისევე, როგორც სხვა საბრძოლო აღჭურვილობა ბუტაფორული იყო, მაგრამ სამხედრო თავდაცვის თეო-

რიული კურსი ნორჩ არმიელებს მკაცრად, ყოველგვარი წესის დაცვით მოეთხოვებოდათ. საველე ჩანთებში სანიტრებს მედიკამენტები, შესახვევი პაკეტები და „რაქერაციის“ ჩასატარებელი სხვა იარაღები ეწყობო.

სალამოს ნორჩი არმიელები ოფიცერთა სახლში მიიწვიეს, სადაც შეხვდნენ მეომრებს და ნახეს ახალი ფილმი.

## „ო მ ი“

მესამე დღე განსაკუთრებული გახლდათ. ამიტომაც ყველაზე მეტად ღელავდნენ ნორჩი არმიელები. დღეს გამოჩნდებოდა მათი სამხედრო აღჭურვილობის ხარისხი, ტანსაცმლის ვარგისიანობა, ყველაფრის ცოდნა, რაც თამაშის მსვლელობაში შეისწავლეს და წინა დღეებში გამოსცადეს: სამხედრო ტექნიკა, სამხედრო და ფიზიკური მომზადება, ნიჭი და ალღო, სანიტრების გულისხმიერება.

მესაზღვრეებმა, მზვერავებმა, მეზღვაურებმა, დესანტებმა ჯერ არ იციან როგორი იქნება საბრძოლო დავალება. პაკეტი, რო-

მელშიც საბრძოლო დავალება მხოლოდ სტარტთან გაიხსნება.

შიშინითა და სტვენით ავარდა რაკეტა, იწყება „ომი“.

ამუშავდა მორზეს ანბანი, დაიწყა ბრძოლა, ხოხვა, აირწინალების მომარჯვება.

ორი საათის შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა. დამთავრდა „ომი“.

ნორჩი არმიელები გორაკისაკენ გაეშურნენ. სადაც ჯამდებოდა ბრძოლის შედეგები.

ყველა რაზმმა ისახელა თავი, — მაგრამ უკეთესთა შორის უკეთესნი გორის მე-6 საშუალო სკოლის ნორჩი არმიელები გამოდგნენ, რომლებმაც დაიმსახურეს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მთავარი პრიზი და ვაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ პრიზი. რალა თქმა უნდა, მათვე ხვდათ წილად დეცვათ ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ არმიელთა ღირსება ფსკოვში — საკავშირო ფინალურ შეჯიბრებაში, სადაც ჩვენი ქვეყნის 80 საუკეთესო რაზმი იღებდა მონაწილეობას.

თიურა ვაზაძე.

ფოტო

მალხაზ დათიკიშვილისა.





100



1921 წლის  
თებერვლის  
ღვთობა  
შობაბეჭდვით

ქუც ზეზის  
კუთხარ:-  
ღენი  
ვნახე

ბ ი მ რ გ ი ქ ა ჭ ა ხ ი ძ ე

მზე დილიდანვე შეენთო ავდარს,  
შეძრა, შეაკრთო სუსხი და ჯანლი.  
ის დილაც ქვეყნის ცხოვრებას ჰგავდა,  
დამძიმებულს და ბრძოლებით დაღლილს.  
მიწას უნდოდა სინათლე მეტი,  
ვერ ეტეოდა ოცნება ქოხში.  
ზღვისკენ მიქროდა წამსვლელთა ეტლი,  
თეთრი გიორგის დახრილი დროშით.  
ერობის ხალხი სოფელში სწუხდა,  
როგორც ფუტკარი უდედო სკაში.  
დროდადრო სადღაც ყუმბარა ჰქუხდა  
და ყურს ვუგდებდი ქვეყანას ბავშვი.  
ბინდი მოადგა ჭიშკარს და ღობეს,  
მოვიდა ღამე ზოზინა დართ;  
ჯერ დაამარცვლა ვარსკვლავნი სოფელს,  
მერე ნათელი მოჰფინა მთვარის.

ისე გათენდა მზიანი დილა,  
ბურანში იყო ეზო და სახლი.  
მზეს გაუღიმა სოფელმა ტკბილად,  
გამოეფინა ქუჩებში ხალხი.  
აჩქეფდა ხეშიც სიცოცხლის წყალი,  
ვის აფიქრებდა ბობოლას ბღვერა.  
ერობა ღამით, დრო-ჟამზე მწყრალი,  
გასცლოდა თავის დარღვეულ კერას.  
დილითვე გვიან, მეზობლებს გზაზე  
ეუბნებოდა ბიძია მათე:  
— რალაც ისეთი გრძობით ვარ სავსე,  
კარგი მოჰყვება ამ დილის ნათელს.  
მე ასე მითქვამს, და მალე ნახავთ,  
თუ არ გაითქვამს რევეკომი სახელს.  
სწორედ იქიდან მოვდივარ ახლა,  
ვისაუბრე და... ლენინიც ვნახე.

შევხტი, შევძახე: ეს რა თქვა ძიამ!  
თვალი ციმციმით გამექცა გზისკენ.  
ლენინის ნახვის სურვილმა მძლია  
და მერცხალივით გავფრინდი მყისვე.  
რევეკომში იგი ვეძებე დიდხანს —  
კაცი კაცთაგან ბრძენი და დიდი.  
— ვის დაეძებო, — ვილაცამ მკითხა.  
— დიდ ლენინს-მეთქი, — ვუთხარი რიდით.  
მძიმე ზამთრის და ომების კვალი  
კვლავ გვახსენებდა სიმწარის გემოს.  
აგერ დიდ სურათს მოვკარი თვალი  
თეთრად შეღებულ კედელზე, ზემოთ.  
მივხვდი ის იყო, ვინც საქმით მართლებს  
დამეგობრა ბრძოლაში ბევრი.  
ვთქვი: ალბათ დილით ეს ნახა მათემ,  
ელო ჩარჩოსაც სინათლის ფერი...  
თვალი უსიტყვოდ ამბობდა სათქმელს  
და მივდიოდი შინისკენ ფრენით.

მზე დაჰხაროდა სიცილით სოფელს,  
კვირტი ხეებზე სკდებოდა ბევრგან;  
ტყემლები მიტკლის თავსაფრებს ქსოვდნენ  
და გაზაფხული ცხოვრებას ერქვა.  
შინ ბებო დამხვდა, დინჯი და ფრთხილი,  
განათებოდა შემჭკნარი სახე.  
ვით მათემ გზაზე მეზობლებს დილით,  
მეც ბებოს ვუთხარ: — ლენინი ვნახე!  
იმ დღეს ჩემსავით ხარობდა იგი,  
ერთად მივხედეთ ხალისით ვაზებს.  
გლეხები გზაზე, ვენახის იქით,  
საუბრობდნენ და ნატრობდნენ გაზეთს.  
საღამოს, როცა დაღლილი ჯანით  
მზე დაიმალა მეზობლის სახლთან,  
ჩვენში მოვიდა წითელი ჯარი  
და მას ლენინი სოფელში დახვდა.

**ბ**ია და მალხაზი, გურამი და ნუგ-  
ზარი, მერაბი და ნუკრი, თენგიზი და  
ნათელა, ზურაბი, ილია, შალვა, გი-  
ვი, და მათი თანაკლასელები თბი-  
ლისის 67-ე საშუალო სკოლის მე-  
ექვსე რაზმის პიონერები არიან...  
მათი სკოლა ლენინის მოედანთან,  
ლესელიძის ქუჩის დასაწყისშივეა  
ლამაზი სკვერის წინ, დიდი, ნათელი  
ოთხსართულიანი შენობაა აღმარ-  
თული.

სკოლის კიბეს ავყევით. გასწვრივ,  
კედელზე, მზრუნველ ხელს სამოქა-  
ლაქო ომის გმირთა პორტრეტები გა-  
უკრავს: ნიკოლოზ ოსტროვსკი,  
ვასილ კიკვიძე, მიხეილ ფრუნზე,  
დიმიტრი ფურმანოვი, ვოროშილო-  
ვი, შჩოლსი, სერგეი ლაზო, გრი-  
გოლ კოტოვსკი, ალექსანდრე პარ-  
ხომენკო, ვასილ ჩაპაევი... მათ  
მწყრივს დიდი სამამულო ომის გმირ-  
თა სურათები, მიჰყვა: ზოია კოსმო-  
დემიანსკაია, შოთა გამცემლიძე,  
ოლეგ კოშევი, თინა იოსებიძე...

დერეფანში მეექვსე რაზმის საკ-  
ლასო ოთახის კარებთან ვჩერდებით.  
ბავშვები ოთახში დაგვხვდნენ. ის-  
ის იყო გულიყო მასწავლებელს მა-  
თი დღიურები შეეკრება...

ხელთ ლეილა იოვიძის დღიური  
მოგვხვდა. ხუთიანების გასწვრივ, ის-  
ტორიის, ქართული ენისა და ლიტე-  
რატურის, ბოტანიკის მასწავლებ-  
ლები აწერდნენ ხელს...

ყველაზე მეტი ხუთიანი მერაბის  
დღიურში ეწერა. ჩანს, რაზმის საბ-  
ჭოს თავმჯდომარე მერაბ ხანანაშვი-  
ლი ყველა საგანს ერთნაირი მოწა-  
დინებით ეკიდება. ხუთები მომრავ-  
ლებულა მერაბ ჯანაშვილის, მზია  
შალიკაშვილის, გიორგი კარაკაშვილის  
და სხვათა დღიურებშიც...

— ერთმანეთის დახმარება იციან.  
როცა ნუგზარ მახნიაშვილი ავად  
გახდა, ყველა ღელავდა, სწავლაში  
ჩამორჩებაო. შინ მიაკითხეს, ერთად  
ამზადებდნენ გაკვეთილებს. ეს რაზმი  
სწავლას დიდ ყურადღებას აქცევს,  
რაზმის შეკრებაც მოაწყებს: „რომ  
აშენო, უნდა იცოდე, რომ იცოდე,  
უნდა ისწავლო“. — გვესაუბრებოდა  
მექვსე რაზმელების ბეჯითობაზე მა-  
სწავლებელი გულიყო გაბისონია.

# რაზმის ხეობის უძევენი

მეორე დღესაც ვესტუმრეთ მეექვ-  
სე რაზმელებს.

— ჩუმაღ, აქ კონკურსი მიმდინა-  
რეობს! — ტუჩზე თითის მიდებით  
გვანიშნა ერთმა გოგონამ. ფეხაკრე-  
ფით მივუახლოვდით ოთახს. იქ VI<sup>2</sup>  
კლასელთა თაოსნობით მხატვრულ  
კითხვაში კონკურსი მიმდინარეობდა.

გარდა მეექვსე რაზმელებისა, ოთახში  
სხვა რაზმის პიონერებიც იყვნენ.

კონკურსს სკოლის დირექტორი  
თავმჯდომარეობდა.

ტექსტს მოსწავლეები სამ ენაზე  
კითხულობდნენ: ქართულად, რუსუ-  
ლად და გერმანულად.

კონკურსში გამარჯვებულებს ილია





ფალიანს, ლეილა იოვიძეს, ვია გო-  
ვიას, ვია კარაკაშევს და სხვებს სკო-  
ლის დირექტორმა პირად საქმეში  
შეტანით მადლობა გამოუცხადა.

...გარეთ კი იღვინენ და ლელავდნენ  
გულშემატკივრები;

პირველად გამარჯვებულებმა წარ-  
მატება მასწავლებლებმა მიულო-  
ცეს, — გულიკო გაბისონიამ, ციალა  
ქორჩილაძემ და თამარ საყვარელი-  
ძემ.

საინტერესოა ისეთი შეკრება, რო-  
მლის სამზადისში ყველა პიონერს  
უდევს წილი, ამაში ერთხელ კიდევ  
დავრწმუნდით მეექვსეკლასელთა  
მაგალითით.

— „ლენინური ანდერძის ერთ-  
გულნი“ — ასე ჰქვია ჩვენს შეკრე-  
ბასო — გვითხრეს მეექვსეკლასე-  
ლებმა. ამ შეკრებისათვის მზადებაში  
ყველა პიონერი ჩაება, რაზემულის  
საბჭო და სხვა რაზმის პიონერებიც  
აიყოლიეს.

ბავშვები რაზმის საბჭოს შეკრება-  
ზე შეთანხმდნენ, რომ ამ შეკრების  
საპატიო სტუმართან ვია კარაკაშევი,  
ვია გოგია, ილია ფალიანი და ლეი-  
ლა იოვიძე წავიდოდნენ. მათ თან  
რაზემულის საბჭოს თავმჯდომარე  
აკაკი ჭანაშვილი და მეცხრეკლასელი  
გურამი გაჰყვებოდათ. გურამი თან  
კინოაპარატს იქონიებდა.

...რაზმის საბჭოს წარგზავნილები  
ცოცხალი ყვავილებით ხელდამძვე-  
ნებულნი ოჯახში ეწვივნენ ძველ  
ბოლშევიკს, 1917 წლიდან პარტიის  
წევრს, სამოქალაქო და დიდი სამამუ-  
ლო ომების მონაწილეს — კლიმენ-  
ტი გვლიას. — ახლა ის თადარიგის  
პოლკოვნიკია. დიდი სამამულო ომის  
წლებში ფრონტზე იყო, კავკასიონის  
მისაღგომებთან 392-ე ქართული დი-  
ვიზიის მინ-ე საარტილერიო პოლკის  
კომისრად.

გულიკოდ შეხვდა პატარებს მოხუ-  
ცი. როცა მასპინძელმა ბავშვები თა-  
ვის სამუშაო ოთახში შეიყვანა, მოს-  
წავლევებმა თანასკოლელთა თხოვნა  
გადასცეს: შეკრებაზე უნდა გვეწვი-  
ოთო.

კლიმენტი პაპამ მადლობა გადაუ-  
ხადა ბავშვებს, შეაქო.

— თბილისის ბევრი სკოლის პი-  
ონერებთან ვმეგობრობ, ხშირად ვმო-  
ნაწილეობ მათს ლიტერატურულ სა-  
დამოებსა თუ შეკრებებში, შეხვედ-  
რებსა და მოგზაურობებში, გმად-  
ლობთ, რომ, არ მივიწყებთო.

სტუმარ-მასპინძელს შორის მალე  
გაქრა უხერხულობა. მეექვსეკლასე-  
ლები კლიმენტი პაპას თავიანთ სწავ-  
ლაზე, „ლენინური ორწლედის“ საქ-

მეებზე ესაუბრნენ. მოხუცს მათი სი-  
ყოჩადე მოეწონა. — ახლა თქვენ  
გვიამბეთ, ბელადს როდის და სად  
შეხვდითო — სთხოვეს პიონერებმა.

მასპინძელმა ხალისით უამბო ბე-  
ვრი რამ. თურმე მას სერგო ორჯო-  
ნიკიძე ჭირ კიდევ იატაკქვეშეთში მუ-  
შაობის დროს და შემდეგ სამოქალა-  
ქო ომის პერიოდში იცნობდა, რო-  
გორც კონსპირაციული ხასიათის და-  
ვლებების მარჯვე შემსრულებელს;

1921 წლის აპრილის დამდეგს  
კლიმენტი გვლია მოსკოვში გაგზავ-  
ნეს. ის ამ დროს წითელი არმიის რი-  
გებში, მე-11 არმიაში მსახურობდა.  
მთელი მისი წარსული მუშაობა და-  
კავშირებული იყო კონტრრევოლუ-  
ციის ბნელი ძალების წინააღმდეგ  
ბრძოლასთან, ჩრდილოეთ კავკასია-  
ში, ამიერკავკასიასა და საქართველო-  
ში საბჭოთა ხელისუფლების დამყა-  
რებასთან.

ლენინთან მას სერგო ორჯონიკი-  
ძის წერილი მიჰქონდა, რომელიც  
უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს  
შეიცავდა ახალგაზრდა საბჭოთა სა-  
ქართველოს მდგომარეობის შესახებ.

კლიმენტი გვლიამ ის დიდი სიზა-  
რული და განუმეორებელი წუთები  
აღიდგინა, რომელიც საყვარელ ბე-  
ლადთან შეხვედრის დროს განიცადა.

— ლენინი საწერ მაგიდასთან იჯდა,  
დამინახა თუ არა, ჩემსკენ გამოეშუ-  
რა. ილიაი შეკითხვებს მაძლევდა.  
თან ქაღალდის ფურცელზე რაღაცას  
ინიშნავდა. საუბარი მეტად მნიშვნე-  
ლოვან საკითხს შეეხო. ვლადიმერ  
ილიას-ძე — საბჭოთა ხელისუფლე-  
ბის ამოცანებზე მელაპარაკა.

...შემდეგ ჩემი ოჯახური მდგომარეობით და სწავლით დაინტერეს-  
და... — იგონებდა მოხუცი. მან მოს-  
წავლევებს ის წვდნი უჩვენა, სადაც  
მისი ნაამბობი პირველად დაიბეჭდა.  
წიგნზე ბელადის სახე აღბეჭდილი.  
ქვეშ კი ლამაზი წარწერაა: „მოგონე-  
ბები ვ. ი. ლენინზე“. ეს წიგნი 1960  
წელს „საბჭოთა საქართველომ“ გა-  
მოსცა. წიგნში, კლიმენტი გვლიას  
მოგონების გარდა, მიხა ცხაკაიას,  
ფილიპე მახარაძის, ვანო სტურუას,  
დავით სულიაშვილისა და სხვათა მო-  
გონებებია (სულ 24 მოგონება) გამო-  
ქვეყნებული.

თავისი წიგნი კი — „არწივები მი-  
დიოდნენ ცეცხლში“ — მასპინძელ-  
მა სამახსოვრო წარწერით აჩუქა  
ბავშვებს.

მალე კლიმენტი გვლია სკოლას  
ეწვია.

მექვსეკლასელებმა საპატიო სტუ-  
მარს „ლენინური ორწლედის“ საინ-

ტერესო საქმიანობა გააგრძელეს.  
ნორჩი კინომოყვარულების მიერ გა-  
დაღებული, მათი რაზმის ცხოვრების  
ამსახველი კინოფილმი აჩვენეს.

შეკრებაზე, რომელსაც კლიმენტი  
გვლია ესწრებოდა, რაზემულმა ახა-  
ლი შეხვება მიიღო. უმცროსი მე-  
გობრები — მესამეკლასელი ოქტომ-  
ბრელები პიონერთა ორგანიზაციის  
რიგებში შევიდნენ. ის დღე მეექვსე-  
კლასელებმა ოქტომბრელებისათვი-  
საც სამახსოვრო გახადეს. III კლასის  
ხელმძღვანელის მადლენა თევ-  
დორაძის დახმარებით ვარსკვლავის  
ხელმძღვანელებს ოქტომბრელები  
კარგად მოემზადებინათ ამ სამახსოვ-  
რო დღისათვის.

შეკრებაზე ყველა რაზემიდან მოი-  
წვიეს პიონერები. კომკავშირელები  
ც ესწრებოდნენ. ლექსებს სიმღერა  
სცვლიდა, სიმღერას პიონერთა და  
ოქტომბრელთა ფერხული.

...მექვსეკლასელებმა „ლენინური  
ორწლედის“ მატრიანეში კიდევ ერთი  
შინაარსიანი ფურცელი ჩაიწერა...

მექვსეკლასელებთან ერთად დაე-  
ყვეით სკოლის კიბეს. მწერა უნებუ-  
რად კვლავ კედელზე გაკრულ გმირ-  
თა სურათებისკენ გაგვექცა...

ზოია, ოლეგი, ულიანა, თინა იო-  
სებძე, ზოია რუხაძე, შოთა გამცემ-  
ლიძე... ისინიც ოდესღაც ასე იღვინენ  
პიონერულ ხაზზე, ასე იკრიბებოდ-  
ნენ, ოცნებობდნენ, ეუფლებოდნენ  
ცოდნას, აღამაზებდნენ პიონერულ  
ცხოვრებას, მათაც იტაცებდათ კომ-  
კავშირელთა გამბედაობა, გულითა-  
დობა... და უნებურად კვლავ ჩაგვეს-  
მა პიონერთა ორგანიზაციის რიგებში  
შემსვლელთა წკრიალა ხმა.

მე, საბჭოთა კავშირის ნორჩი პი-  
ონერი!

ჭულელი ოთარი!  
წულაძე ნუგზარი!  
გორელიშვილი ბესიკი!  
ელიზბარაშვილი ნოდარი!  
.....  
.....

ამ შეკრებაზე პიონერებმა ერთგუ-  
ლების ფიცი დადეს, რომ მუდამ  
მზად იქნებიან საბჭოთა კავშირის  
ნორჩი პიონერის კანონების შესას-  
რულებლად, მუდამ ეყვარებათ სამ-  
შობლო, მშობლიური კომუნისტური  
პარტია, მუდამ მზად იქნებიან ხალ-  
ხის სამსახურისათვის!



# ქაჯთუჯი

# ხელნ

# კობოხაჯი



(ოვანეს თუმანიანის დაბადების  
100 წლისთავის გამო)

„სულ არ ჰგავს საქართველო ჩვენს ქვეყანას — სომხეთს. საქართველო უფრო რბილია და ლირიკული, ჰაერი უფრო მსუბუქია... ვერ წარმოიდგენთ, რა არის, როცა საქართველოს ხეობებს ჩაღვ და კავკასიონის მთებიდან გაიხედავ — რაღაც მრისხანე და პირველყოფილი სილამაზეა შენს ირგვლივ... ყოველი მხრიდან წარმოგვედგომია მაღალი მთების თოვლიანი მწვერვალები, წინ კი იშლება კაიშაურის ველი!“ ასე აღწერს საქართველოს თვალწარმტაც ბუნებას გამოჩენილი სომეხი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ოვანეს თუმანიანი. ოვანეს თუმანიანი მსურველედ ეტრფოდა ჩვენს მზიურ ქვეყანას. იგი მთელი გულით უმდეროდა საქართველოს და ქართველ ხალხს. ეს გასაგებიც არის. საქართველო სომ მისი მეორე სამშობლო იყო სადაც, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გაატარა დიდმა სომეხმა პოეტმა.

ოვ. თუმანიანი დაიბადა 1869 წელს 19 თებერვალს საქართველოსთან ახლო მდებარე მხარეს — ლორეში, სოფელ დსელში (ამჟამად თუმანიანი). პირველდაწყებითი განათლება თავის მშობლიურ სოფელ-

ში მიიღო. თოთხმეტი წლიდან კი იგი საქართველოში ჩამოვიდა და თბილისის ნერსისიანის სემინარიაში განაგრძო სწავლა, მაგრამ, უსახსრობის გამო, მალე დაანება თავი და გადაწყვიტა დაიწყო მუშაობა თბილისის ერთ-ერთ სასულიერო დაწესებულებაში. პოეტი სამუდამოდ დასახლდა თბილისში და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე თავადებით მონაწილეობდა ლიტერატურულ-კულტურულ საქმიანობაში. მან აქ აიდგა ფეხი, როგორც პოეტმა და შექმნა შესანიშნავი, ყველასათვის საყვარელი მხატვრული ნაწარმოებები: „გიქორ“, „ანუშ“, „ფარვანა“, „თმოგვისციხის აღება“ და სხვა მრავალი. თბილისში თარგმნა მან თავის მშობლიურ ენაზე მსოფლიოში აღიარებული კლასიკოსები: ალ. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ბაირონი და შილერი.

ოვ. თუმანიანი, მჩქეფარე პოეტურ მოღვაწეობასთან ერთად, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იმ პერიოდში არ ყოფილა თითქმის არცერთი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ღონისძიება, ოვ. თუმანიანს თავისი წვლილი რომ არ შეეტანოს. ოვ.

თუმანიანმა დიდი ამაგი დასდო ამიერკავკასიის ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებას. იგი ერთ-ერთი პირველი ამაგდარი მოღვაწე იყო ხალხთა მეგობრობისა. ოვ. თუმანიანი აღფრთოვანებული შეხვდა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და გულწრფელი სიტყვებიც მიუძღვნა მას: „აი, მთავრობა, რომლის ღერბზეც ჩვენ ვხვდავთ არა მხეცებსა და იარაღის გამოსახულებას, არამედ ნამგალსა და ჩაქუჩს — მუშებისა და გლეხების სიმბოლოს. აი, მთავრობა, რომელსაც მოაქვს მეგობრობა, მშვიდობიანი ცხოვრება, თავისუფალი შრომა და არა ომები და გაღატაკება“.

ოვ. თუმანიანი თავისი ქვეყნის დიდი მამულიშვილი და პატრიოტი იყო. მას უყვარდა თავისი მშობელი სომეხი ხალხი, მაგრამ არანაკლები, სიყვარულით იყო გამსჭვალული ქართველი ხალხის მიმართ. „თუ თვალს გადავაგვლებთ მსოფლიოში მეზობელ ხალხთა ურთიერთობებს, დამეთანხმებით აუცილებლად, რომ ქართველები საუკეთესო მეზობლები არიან... ჩვენ, კავკასიის ხალხები

მხარდამხარ და ძმურად ვიყავით მარად, როგორც ჩვენი მშობლიური მთები, რომელთა მწვერვალები ცალცალკე ბრწყინავენ, მაგრამ ერთად არიან, ერთიანი დედაფუძით შეერთებულნი — წერდა სომეხი პოეტი.

ოვ. თუმანიანი მთელი მგზნებარებით უმღერდა ქართველ და სომეხ ხალხთა საუკუნოვან მეგობრობას. იგი მუდამ მომხრე იყო ამ ორი ერის დაახლოებისა, რომლის უპირველეს საფუძვლადაც მათ შორის კულტურული თანამშრომლობა მიაჩნდა. იგი მთელი სიყვარულით მიმართავდა ქართველებს! „ძმებო, ქართველებო, ჩვენო მრავალსაუკუნოვანო ძმანო, მუდამ თავისუფალო და კეთილშობილო ძმებო! თუ სულის ჭეშმარიტი ანარეკლია ლიტერატურა, პოეტი კი ამ სულის გამომხატველია, მაშინ თქვენთან მომაქვს სომხური სული, როგორც ყველაზე მაღალი და კეთილშობილური, რაც კი შესაძლოა ხალხს და ადამიანს ჰქონდეს“.

ოვანეს თუმანიანმა მრავალი შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა საქართველოს და ქართველ ხალხს. „საქართველოს პოეტებს“, „შერიგება“, „საქართველოზე“, „საქართველოს სული“ და სხვა. ეს ლექსები ქართველი ხალხისადმი დიდი სიყვარულით არის გამთბარი. პოეტი უმღერის ჩვენს ლამაზ ქვეყანას, ჩვენი ხალხის გულდია და უდრეკ ბუნებას:

არა, რუსთაველის ოქროს  
სიტყვები  
როდი ხმაურობს მჭლედ და  
დუნედა,  
მის ამაყ აჩრდილს დღეს  
თქვენ მიჰყვებით  
ვერა გძლევთ ტანჯვა  
საუკუნეთა.

სომეხი პოეტი თავის მოძმე თანამოკალმეებს მოუხმობს მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისაკენ.

დავრჩეთ, ქურუმნო, ძმად და  
მეგობრად,  
შევქმნათ ოჯახი ამხანაგური!

ოვ. თუმანიანი ბავშვების დიდი მეგობარი იყო. მას ძლიერ უყვარდა მოზარდი თაობა და მთელი გულით სურდა ისინი პატიოსანი, სამართლიანი და სამშობლოს მოყვარული ადა-

მიანები გამხდარიყვნენ. პოეტი მათთვის სახელმძღვანელოებს და საკითხავ წიგნებს ადგენდა, ბევრს მუშაობდა, რათა პატარა მეგობრების წინაშე თავისი პოეტური ვალი მოეხადა. ბავშვების უანგარო სიყვარულმა დააწერინა მას მრავალი საბავშვო ლექსი, მოთხრობა თუ ზღაპარი. ვინ არ იცნობს მის ლექსებს „პატარა მიწათმფლობელი“, „ბავშვი და წყალი“, „ნაკადული“, „განთიადზე“, „წყარო“, მოთხრობას „გიქორი“, ზღაპრებს — „ძაღლი და კატა“, „ერთი წვეთი თაფლი“, „გულადი ნაზარა“, „უკუდო მელა“, ბალადას „ფარვანა“ და სხვა ნაწარმოებებს.

აი, თუნდაც მისი „ფარვანა“. ამ ბალადაში პოეტი მიმზიდველად გვიყვება ზღაპრულ ამბავს. ყოფილა თურმე ერთი მეფე, რომელსაც ლამაზი ქალიშვილი ჰყოლია. მეფის ასულს განუცხადებია, ცოლად მხოლოდ იმას გავყვები, ვინც უკვდავების ცეცხლს მომიტანსო. ქალის მოტრფიალე რაინდებმა უკვდავების ცეცხლის მოსატანად გასწიეს. წავიდნენ, მაგრამ მათს დაბრუნებას საშველი აღარ დაადგა. გავიდა მრავალი წელი. მტვრით და ქვა-ღორღით დაიფარა თურმე-გზა. მეფის ასულს სევდა-ნაღველმა დარიხ ხელი:

დრო გავიდა. მეფის ქალი  
სულ ამოდ ელის მგზავრსა,  
ლოდინისგან შესაბრალი,  
ცოცხალ აჩრდილს დაემსგავსა.

ბოლოს ამო ლოდინით გულდამწუხრებული მეფის ასული მწარედ ატირდა, მისმა ცრემლებმა ზღვასავით გადაუარა მთელ სამეფოს.

და იმ ადგილს, სად სასახლე  
ცრემლთა ტალღამ გადაფარა,  
ამბობენ, რომ არის ესლაც:  
ტბა-ფარვანა, ტბა-ფარვანა.

ოვ. თუმანიანის ამ ნაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა საქართველოს ულამაზეს მხარეში მდებარე თაფარვანის ტბაზე შექმნილი ცნობილი ქართული ხალხური ბალადა „თაფარვანელი ჭაბუკი“. ოვანეს

თუმანიანმა პირდაპირ კი არ აიღო ქართული თქმულების შინაარსი, არამედ გადაამუშავა, მხატვრულად დახვეწა და მოგვცა საკუთარი პოეტური ქმნილება. თუმანიანის ამ ნაწარმოების დედააზრი კი ასეთია: ვინც მიუწვდომელ სურვილს აჰყვება, ფარვანეთის მეფის ასულივით დაიღუპება.

ოვ. თუმანიანის ნაწარმოებები საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ხალხთა ენაზეა თარგმნილი. ქართულად მისი ერთ-ერთი მთარგმნელია გამოჩენილი პოეტი ი. გრიშაშვილი, რომელმაც შესანიშნავად თარგმნა მისი მხატვრული ნაწარმოებები.

ოვ. თუმანიანი დიდად პოპულარულია ჩვენს ხალხში. ასეთი პოპულარობის მიზეზი მარტო მისი პოეზია როდია. იგი უაღრესად კეთილშობილი, თავმდაბალი, სიკეთითა და ჰუმანიზმით აღსავსე ადამიანი იყო. აკი თვითონ ოვანესი ამბობს, „ჩემი სიმდიდრე სიკეთეა და სიყვარული“.

მადლიერი ქართველი საზოგადოებრიობა ვალში არ დარჩა სომეხ პოეტს და სიყვარული დიდი სიყვარულით უზღო.

ოვ. თუმანიანმა, როგორც მწერალმა, საზოგადო მოღვაწემ და ადამიანმა, გულთბილი მოგონებები დაუტოვა ქართველ საზოგადოებას, კერძოდ კი თავის მეგობრებსა და ახლობლებს. ოვ. თუმანიანის ქართველი მეგობრები იყვნენ გამოჩენილი პოეტები: ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი და სხვანი. „არასოდეს დამავიწყდება მაღალი, ოდნავ წელში მოხრილი.. შევერცხლილი, მღიმარი, სათნო ოვანესი. მან თაფლწვეთილი სიტყვა იცოდა. იგი იყო მისანდობელი და მართალი ადამიანი“ — ასე იგონებს თუმანიანს გ. ლეონიძე.

ოვანეს თუმანიანის შემოქმედებას არ დაუკარგავს თავისი ცხოველმყოფელი ძალა და დღესაც თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებაში.



# იქვე

ოვანეს  
თუბანიანი

მხატვარი  
ელშარაფ აბოშაჰაძე

სექტემბერში ჩემმა მეზობელმა, მონადირე ოსეფამ, ეგნუტის ხეობაში წამიყვანა სანადიროდ. ამ ადგილებში, ღამლამობით ირემი ჩამოდის თურმე, მდელოზე საძოვრად. განთიადისას წყურვილს იკლავს და მერე, იქვე გამოქვაბულებს აფარებს თავს.

გადავწყვიტეთ, ღამე მეველე ოვაკიმას ქოხში გავვეთია. რომ აღრიანად ავმდგარვიყავით და განთიადისათვის ჩვევსწრო ხეობაში.

სამნი ვიყავით: მე, მონადირე ოსეფა და, ერთიც — ოსეფას შევირდი ჩვენებური ჭაბუკი.

მეტისმეტად გახარებულები მივიდიოდით. როგორც მონადირეებს სჩვევიათ, მთელი გზა ნადირობაზე ვმასლაათობდით.

— ნადირობა იღბალზეა! — ამბობდა ოსეფა. — ერთი კი შეასწრებ თვალს ნადირს, მაგრამ მოხედვას ვერ მოასწრებ, რომ, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, კვალწმიდად გაქრება. მიუჩვენელი კაცი უცებ ვერც დაინახავს. აცახცახდება, აფორიაქდება და ხელიდან გაუშვებს. ნადირს როგორც კი თვალს მოჰკრავ, თოფი სამინევე უნდა დაახალო, თორემ, თუ მიდგები და მოდგები, თოფს ზოზინ-ზოზინით ჩამოინსნი და გააჯანჯლებ, ნადირი გრიგალივით აიჭრება მთაში.

— ოსტატო, თქვენ როგორ მიჰყვებით ნადირს? — ჰკითხა შევირდმა.

— კარგი მონადირე თავისდღეში ნადირს არ გაჰყვება კვალში, საფარში დაუდარაჯებს. — ჰყვებოდა ოსეფა.

იცის, რა დროს, რა ადგილებს ეტანება ნადირი. მივა და ჩაუსაფრდება მაგრამ თუ გაჰყვება, დიდის სიფრთხილით გაჰყვება, რომ სუნი არ აიღოს. ნადირს ძალზე მახვილი ყნოსვა აქვს. თვალის დახამხამებაში გაქრება.

ასე ლაპარაკ-ლაპარაკით საღამო ხანზე მივადექით მეველე ოვაკიმას ქოხს. მოხუცს ფიჩხი შეეგროვებინა, ცეცხლი დაენთო და იქვე მიწოლილიყო.

— საღამო მშვიდობისა, ძია ოვაკიმ!

— აი, გავიმარჯვოთ! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. ეს რა სასიამოვნო სტუმრები მეწვივნენ! სწორედ ახლა იმაზე ვფიქრობდი, ნეტავი ერთი ადამიანიშვილი გამოჩნდეს, ვიტყვოდით რამეს, გულს გადავყოლებდით-მეთქი... ჩანს, თვით ღმერთმა გამომიგზავნა თქვენი თავი. — სიხარულით გაიძახოდა ძია ოვაკიმი.

— შენ ჯერ ის გვითხარი, ამ მიღამოებში არის რამე ნადირი? — სულმოუთქმელად ჰკითხა მონადირემ.

— ოსეფჯან, იმდენი ირემია, რომ... ჩემს ბოსტანსაც შემოეჩვია. ღამლამობით მოდის, მთელი ღობიო გადამითელა. რა ვიღონო, არ ვიცი, თოფი მე არა მაქვს და ძალი მე არა მყავს, მაგრამ აღარ იტყვი რა ირემია? — აგორებულნი მთა! ისეთი რქები ადგია, ტოტებგაშლილი მუხა გეგონება.

— კეთილი და პატიოსანი. ერთი ეს გვითხარი: ფურიემი არ უხმობს?

— უხმობს და ეგრე! იმისი ყვირილისაგან ძილი მაქვს გამფრთხალი. წუხელის მთელი ღამე, აგერა იმ ბუჩქნარებში, ისეთს გაჰყვიროდნენ, რომ დედამიწას ზანზარი გაჰქონდა!

— ღმერთო მოწყალეო! — შესძახა მონადირემ.

ძია ოვაკიმამ მიწაზე თივა დაყარა და გვთხოვა დასხედითო, თვითონ კი ისევ თავის ადგილზე მიწვა.

— ხალხნო, ვფიქრობ, ვფიქრობ და იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ქვეყანაზე ყველაზე დაუნდობელი, ადამიანია!

— რატომ, ძია ოვაკიმ?

— როგორ თუ რატომ? აჰა, აი, მაგალრთი. აგილიათ ხელში თოფი და, ირემი იქნება, თუ სხვა რამ ნადირი, უკან დასდევთ. ჩვენც გვიხარია, თუ მოინადირებთ, ირმის მწვადებით ვისიამოვნებთ. ის კი გვაფიწყდება, რომ ირემიც ადამიანივით ღმერთის გაჩენილია. ნეტავი ყური დაგადებინათ, შუალამისას როგორ უხმობს ფურიერემი თავის მეგობარს, გულის რჩეულს...

— არა მინდა რა, კრინტი დაძრას, მე იმას ვუჩვენებ გულის რჩეულს! — სიტყვა გააწყვეტინა ოსეფამ.

— არა, არა. ცოდვაა, დიდი ცოდვა! — თავი გააქნია მეველემ. — რაკი სიტყვა ირემზე ჩამოვარდა. ერთი ამბავი უნდა გაიმბოთ.

— გვიამბეთ, ძია ოვაკიმ. — ვთხოვეთ.

— ერთ ზაფხულს მთაში ვიყავი. შინიდან შემომიძვალეს, შვილიშვილი ავად გყავს, ჩამოდი, ნახეო. მაშინვე წამოვედი. მოვდივარ და ვფიქრობ: ნეტავ გზად რამეს გადავაწყდე-მეთქი. ტყეს შევყევი. თვალები დავაცეცე. უცებ დავინახე, ერთ ადგილს ბუჩქი ირხეოდა. ხოხობი ხომ არ არის? — გამკრა გულში. თუ ნადირია, რას იმალება-მეთქი. დავავლე ქვას ხელი და ბუჩქს ვესროლე. ვხედავ ყურებდაცქვეტილმა ირმის ნუკრმა გამოყო თავი. აატოკა ფეხები და გასაქცევად დაიძვინა.

ვიტაცე ხელი თოფზე, მიზანში ამოვიღე და ვბეთქე. ერთი კი შეხტა საცოდავი და იქვე დაეცა. მომაკვდავი ბავშვივით დაიწყო კვნესა. მონადირეებისგან ვიცოდი, რომ იმისი ღედა ჩემს დანახვაზე აქვე დაიმალებოდა და სადაც იყო, უნდა გამოჩენილიყო. ხეს ამოვეფარე და გავინახე. არ ვიცი რა დრო გავიდა; მართლაც გამოჩნდა. მორბოდა, მაგრამ, რა მორბოდა, არემარე თან მოჰქონდა. ისწრაფვოდა შვილის სიკვდილისაგან დახსნას. ისეთი სანახავი იყო, მტერსაც გული მოუკვდებოდა. მოვარდა, ნუკრი ხის ქვეშ უსულად ეგდო და სისხლში ცურავდა. ფურჩინებმა კისერი გადაიგდო და საცოდავად დაუწყო ჭრილობას ლოკვა. ცოდვით ავივსე! ღმერთს გეფიცებით, სე გამოვიქეცი, უკან აღარ მიმიხედა.

მოვედი სახლში. შვილიშვილი მძიმედ დამხვდა. სიკვდილს ებრძოდა. კვნესოდა. ნუკრი დამიდგა თვალწინ, სიმწრისაგან თვალები დახუჭე. თითქოს ისევ იმ ბუჩქთან ვიდექი. შვილიშვილს ამიკვდა. ზედ ბლავილით დაემხო ღედამისი.

— ღმერთო, დიდია შენი სამართალი! რა განსხვავებაა აბა, ამ ღედა-შვილსა და ფურჩინებსა და ნუკრს შორის? — არავითარი!

გული ყველას აქვს და ერთნაირადაც შესტიკვიათ.

ძია ოვაკიმის სევდიანმა ნაამბობმა დაგვადუმა.

— ძია ოვაკიმ, ამბობენ, ირემს თავისი მფარველი ღმერთი ჰყავსო. — ხმა ამოიღო შევირდმა კაზარმა.

— მაშ, რა! და მერე როგორი!

— ნუთუ მართალია!

— მართალია, აბა რა! მონადირე პირუმს თავის საქმეში ბადალი არა ჰყავს. იმისი გასროლილი ტყვია მიზანს არ ასცდენია. ერთხელ ირემი დაჭრა თურმე, მირბის ირემი თავის დასაღწევად და მისდევს პირუმი, ბოლოს ზორავარის მუხნარამდე ჩაულწევიათ. ირემს მუხლში ძალა გამოლევია და ჩაუჩოქია. პირუმს თოფი მოუპარჯებია, რომ უცებ მუხნარში იმათ წინ ალყაფის კა-

რი გახსნილა და მზეთუნახავი ქალი გამოჩენილა. გადმომდგარა და წყევლა-კრულვით აუვსია მონადირე.

— რა გინდა, რას ერჩი ამ უდანაშაულო არსებას, შე ულმობელო ადამიანო? გაუმადლარო, აგრემც სისხლით აგვსებია ეგ შენი თოფი! ცომის გუნდადაც გადაქცევია ტყვია! აგრემც გაგხმობია ეგ ხელი, რომელ ხელშიაც თოფი გიჭირავს!

პირუმი ჰქვიანი კაცი იყო, ქალი როგორც კი დაუნახავს, მიმხვდარა ირემების მფარველი იქნებაო და მაშინვე თოფი ხეზე შეუგდია. ქალის წყევლაზე ხე იქვე გამხმარა.

— ძია ოვაკიმ, ალბათ იმიტომ ამბობენ, ნადირობა დაწყველილია.

— დაწყველილია, აბა რა! ნადირობაც, თევზაობაც, ორივე დაწყველილია. არის ასეთი ძველი წყევლა: „ნურც გაუხარიათ მონადირესა და მეთევზესაო“.

ქარიმაც\* დასწყევლა მონადირე. როცა სიყვარულით გულდამწვარი ქარიმი თავის ასლის ეძებდა, დაჭრილ ირემს წაწყდომია. პირუტყვს საშინელი ტანჯვით ამოსდიოდა სული. მის გვერდით კი დაბნეული ქალიშვილი მდგარა. ქარიმს საზი\*\* ჩამოუკრავს და სიმღერა დაუწყია.

ჩვენ ძია ოვაკიმს ვთხოვეთ ეს სიმღერა ემღერა. მეველემ ჩამოხნელებულ ხეობაში, კოცონთან, თავისი ბებრული, ჩახრინწული ხმით შემოსძახა:

ისმინეთ, ხალხნო, ამბავი შავი,  
მაისის დამდგეს მთაში რომ მოხდა:

გაასმა თოფის ქუხილი ავი  
და... ჩაიკეცა ირემი კოხტა.

მთებს აყრყოლებდა ბლავილი მისი;

კაცთა სიავეს ჰგოდებდა მწარედ;

მოჩქეფდა მკერდით უმანკო სისხლი,

და ნუკრს ცრემლები სწყდებოდა ცხარე.

ხალხნო!

უფალი თუკი გწამთ ოდნავ, —

ნუ ესვრით ტყვიას ფრინველს და ნადირს!

ქარიმმა ნახა: ქობულდას ცოდვამ

უტყვი ხეებიც ალავსო დარდით.

ჩემს გარდა სუყველა დასაძინებლად მიწვა. თუ კაცი ასეთ ადგილზე ყოფნას მიუჩვენებელია, ძილი არ ეკარება. ათასნაირი ხმაური მესმოდა ყურში და ფიქრმა დამიმორჩილა. უთუოდ ნიავი აშრიალებდა სიმინდს, მე კი, ძია ოვაკიმის ნათქვამი გამახსენდა. ვიფიქრე ალბათ ბოსტანში ირემი შემოვიდა მეთქი. სიბნელეში რალაც შავიც მომელანდა. ქოხიდან გამოვედი. შემოდგომის ნათელი ღამე იდგა, სიცივე ისუსხებოდა. თითქოს მთელ ხეობას ეძინა და ძია ოვაკიმასავით ყრულ ფშვინავდა.

აენთო ცისკრის ვარსკვლავი, დრო იყო გზას დაედგომოდით. ამხანაგები გავალვძიე, ხელათ ჩაიცივეს და წამოვედით...

ჭერ გათენებულს არ იყო, რომ უკვე საფარში ვისხე-

\* ქარიმი — აწერბაიჯანულ ლეგენდის „ახლი ქარიმის“ გმირი.

\*\* საზი — მუსიკალური ხაყრავე.

ლით. მე, ჩემის მხრივ, თვალს ვადევნებდი წინ გადაჭიმულ ბუჩქნარს, მოპირდაპირე მხარეს კი უსიერი ტყე მოჩანდა. სიბნელე თანდათან ვაიცრიცა, მტრედისფერ ბინდში ნამძინარევი, მრისხანე კლდეები გამოიკვეთა, ცა განათდა, მოიწმინდა.

განთიადის ნიავმა წამოუბერა, ყვავილებმა თავი წამოსწიეს, ბალახი შეიმშუშნა, ფოთლები აშრიალდა, ტყე იღვიძებდა, იქვე ბუჩქის ტოტზე ჩიტი აელურტულდა, მეორე ბუჩქზე, — მეორე ჩიტი, იქით — მესამე.

ფეხაკრეფით გამოვედი საფარიდან, მოხიბლული შევყურებდი მიდამოს ამ დალოცვილ ქამს! მზის პირველი სხივი ამოიწვერა, უცებ რაღაც ხმა გაისმა... საღდაც ხმელი ტოტი გადატყდა, ტყეში ისევ ბნელოდა და თვალთ ვერ ვარჩევდი რა ხდებოდა, ყურით კი ხმელ ფოთოლზე ახმაურებული მსუბუქი ფეხის ხმა მესმოდა. ფეხის ხმა სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა და მალე თვითონაც გამოჩნდა.



ირემი პირველად ვნახე თავის სამფლობელოში. მოდიოდა ამაყი, მშვიდი, დიდებული და მომხიბვლელი, როგორც ბუნების მეფეს შეეფერება. ჯერ ტყიდან გამოსული არ იყო, რომ შეჩერდა, თავისი გიშერა დრუნჩი მიწას შეახო, მერე თავი ასწია და კისერი ჩემსკენ მოიბრუნა.

ეს იყო ყველაზე მომაჯადოვებელი თვალები, თუ რამ მინახავს ცხოვრებაში! ავიწურე, დარცხენილმა თოფი დაუშვი, მაგრამ თვალის დახამხამებაც კი ვერ მოვასწარი, რომ საფარიდან მონადირე ოსეთას თოფმა ივრიალა. თოფის სროლას ხეობამ გამოძახილით მისცა ბანი. ტყე შრიალებდა, ირემი მიბრუნდა.

— შენ კი არ იყავ! — საფარიდან გამოვარდა მონადირე და ბორცვისაკენ გაიქცა. იქნებ თვალი მოვკრა საით დაიძალებო. ბაიბურშიც არ იყო, მე რომ იქ ვიდექი. საფარში ვეგულებოდი.

უკვე კარგა გათენდა, ბალახს სისხლი თვალნათლივ აჩნდა. მივყევით კვალს.

— რაკი ამდენი სისხლი დაღვარა, შორს ვერსად წავა, ვერსად გავგეჰცევა. — თქვა ოსეთამ.

სალამოვდებოდა, როცა ირემს ერთ პატარა მდელოზე წავაწყდით. იწვა. ჩვენს დანახვაზე თავისი მოხდენილი კისერი ჩვენსკენ გამოსწია; თავი ძლივს ეჭირა; შეშფოთებული იმზირებოდა, თვალები ამღვრეოდა და გაელმებოდა. ირემმა, თითქოს რაღაც მოიფიქრაო, უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, წამოიწია, მაგრამ ძალა არ ეყო და იქვე დაეცა თავისივე სისხლის გუბეში, სასომიხილი.

მონადირე მივარდა... მინდოდა მეთქვა რამე, მაგრამ მომერიდა... სტაცა თავზე ხელი და მშვენიერი კისერი გადაუწია... ისევ დავაპირე სიტყვის თქმა, ისევ ვერ გავბედე... და აი, იელვა ხანჯალმა, პირი ვიბრუნე, ვითომ მთებს გავყურებდი. მომესმა ყრუ კვნესა. უნებურად სიკვდილ-სიცოცხლეზე ჩავფიქრდი.

იმ წუთას მძულდა ცხოვრება.

1909 წელი.

თარგმანა  
კეთილან ბილაშვილმა.

# ახლა რომ თოთხეაჟი წლისა



იგი ხომ ვაჟკაცთა შორის უმამაცესი უნდა იყოს... ასეა ბუნების მიერ დაწესებული.

შორს, ჩრდილო აღმოსავლეთით ცისფრად ლიცილიცებს ზღვის გლუვი ზედაპირი. მოჩანს ქარის შემობერვაზე როგორ აქოჩრდება მისი ტალღები და ერთს მძლავრად გაუტყლაშუნებს ლერწმის ჩაღებით შემოძაგრულ მლაშე სანაპიროს. ტალღების მინარცხების ხმა მჭახედ გატაკუნდება და ველებს მოფენილ კუტიმლაშნარის ჯაგებს ურფოლასავით დაუვლის. ნახევარუდაბნოს შესეული ცხვრის ფარა ერთს ძალუმად წამოსწევს თავს და მერე კვლავ გააგრძელებს ჩვეული სიდინჯით ბალახის ხრამუნს...

ირგვლივ ერთფეროვნება და დუმილი გამეფებულა. არც საით იალალისათვის დამახასიათებელი ცოცხალი ბილიკი, არც სად ცადატუშული მთები და არსად, თითქოს მთელ დუნიაზე არსად არ ფოფინებს ხე — ცოცხალი მიწა.

— ჰე... ჰე... ჰეი! — არავინ იძახის გაღმა ბექობიდან.

— ჰე... ჰე... ჰეი!... — შეშისმჭრელები თუ მთიბავები აღარ ახმინებენ არემარეს.

„ჰე... ჰე... ჰეი!“ — რა სანატრელია კაცისთვის ეს ერთი, თითქოს უაზროდ აღმომხდარი შეძახილი.

— მერე და მერე კი, ცოტა მუხლი რომ მოვიძაგრეთ, უფროსებმა პირველად ახსენეს ჩვენთან უტხო, იდუმალეებით მოცული სიტყვა — ნოღაი... დიახ, ზამთრობით ნოღაის სამოვრებზე დადიოდა ჩვენი საქონელი. ნოღაის ველებს ექვსი-შვიდი თვით მიჰყავდათ ჩვენი ოჯახის უფროსები. შინ დარჩენილნი მთელი ნახევარი წელიწადი რაღაც მწვალებლური ლოდინით ვიტანჯებოდით. პატარებს ნოღაის ველები რაღაც ზღაპრულ ურჩხულად გვესახებოდა. მართლაც იმ დროს ცოტა უბედურება როდი ხდებოდა საზამთრო იალაღების შორეულ გზებზე. ათასი ხიფათი და გასაჭირი ჩასაფრებულიყო ქარიან ტრამალეზე და კასპიის უსიამო სუნთქვა ხშირად აღწევდა ხოლმე ლენინგორამდეც. ჩვენ ვგრძნობდით, რომ უფრო დიდი გამოსაცდელი წინ გველოდა, ყიზლარის ველებს ჩვენთვის მართლაცდა ვაჟკაცობის დასტური უნდა მოეცათ. ჩვენი მშვიდობიანი, ახლომელი მთები ახლა გასხივოსდნენ ჩვენს თვალში, ისინი მხოლოდდა სასიერნოდა და სანავარდოდ თუ გვეჩვენებოდა უკვე. ყიზლარზე ფიქრი არ გვასვენებდა, ყიზლარის ველობები რიალებდა ჩვენს თვალწინ; შორეული სივრცეები გვესიზმრებოდა. ეს სიზმრები ერთნაირად იყო შისიმომგვრელცა და მიმზიდველიც, შორეული და ახლომელი...

და აი, კარგად მახსოვს 1926 წლის შემოდგომა. პირველად გადავავლე მშობლიურ სოფელს გამოსამშვიდობებელი მზერა. პირველად შეკრთა ჩემს სხეულში რომელიღაც ძარღვი, შეტოკდა გული რაღაცნაირი მღელვარებით, შორეულ გზაზე მიმავალთ რომ ემართებათ. დაიწყო ერთთვისანი მოგზაურობა სამხრეთიდან ჩრდილო-

გამოცდილი სარკალი იასონ ჩოჩელი 45 წელია, რაც ყიზლარის საზამთრო სამოვრებზე მწყემსავს ლენინგორის კოლმეურანეთის საქონელს.

ამასწინათ ჩვენი კორასკონდენტი მივლინებულ იყო ნოღათში და საუბარი ჰქონდა ღვაწლმოსილ მაცხვარასთან.

გთავაზოვებთ ამ საუბრის შინაარსს.

— სწორედ თოთხმეტი წლისა ვიქნებოდი, სოფლის ნახირი რომ გავლაღე იალაღზე. ეს იყო მშობლების პირველი დიდი ნღობა — სამწყესურში წასვლა, სოფლის საქონლის მოვლა-პატრონობა. იმ დღიდან მოყოლებული საქონლის დევნა რომ მკვიდრად დამებედა, ამას თქვენც კარგად ხედავთ. არც არას ვჩივი — აი, ამ კომბალივით მოვბერდი მეცა, მაგრამ ჭერ სულით არ გავმტყდარვარ და არც ვაპირებ, — ხელში ატრიალებს მაღალი, მხარბეჭიანი მოხუცი — იასონ ჩოჩელი შემოღეულ, ყუამპირიალებულ ჯოხს და ნესტიან, უსასრულო ჰორიზონტს გასცქერის, თითქოს იმ ტრამალეების მიღმიდან მოუხმობს ბავშვობისდროინდელ მოგონებებს...

იასონს ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი სცემს სახეში და ფაფახის ბეწვებს უშლის... ერთფეროვან ჰორიზონტებს მისი თვალები დაუფიწროებია, მაგრამ სიცოცხლის უინი ვერ ჩაუჩუქრავს თაფლისფერ გუგებში. ვერც სისველეს დაულამბავს საცქერელნი დაძაბუნებული, მომტყდარი ადამიანივით.

— ცხოვრებაში ხშირად შემხვედრია ადამიანები, მეტადრე მწყემსები, დღენიდავ რომ წუწუნებენ, ყოფას უჩივიან და გაჩენის დღეს წყევლიან. მართალია, მძიმეა მომთაბარე სარკლის ხვედრი, მაგრამ მაინც ასეთი ადამიანები ჩემს თვალში მაშინათვე კარგავენ პატივისცემას. თავმოყვარე მწყემსი არასოდეს გალიაცდება.

თისაკენ. მივდენილით ნება-ნება ფარას, მივლადავდიო  
შორს, შორს... გავიარეთ მღვთა, ყაზბეგი, ორჯონიკიძე,  
იშორა, ალიკული და ბაჯიგანი. ექვსას კილომეტრამდე  
მოვიტოვეთ უკან...

ქირსლიანი ცის მრუმე ჰორიზონტზე ყვავების  
გუნდი გამოჩნდა. ასწლოვანთა მირიადი გუნდები ობო-  
ბასავით ქსელავდნენ ზეცას, თითქოს აბლაბუდას ცხა-  
ურს ქსოვენო. ჩრდილოეთიდან ერთი მძლავრად დაიქ-  
შინეს ველებმა, ცივმა ქარმა გადიწულია ჯუჯა ბუჩქნარ-  
ზე, ჭაობის ბაყაყებივით გადაიხტუნეს ვრცელ მინდორ-  
ზე ოჯოჯოებმა...

— უკვე ორმოცდამეხუთე წელი მისრულდება ნოლა-  
ის ველებზე... მახსოვს — პირველ წლებში მიწაში ამო-  
თხრილ ნესტიან ორმოებში ვცხოვრობდით. მწყემსებს  
საღამოობით „ბინისთვის“ რომ მიგვეგნო, ორმოს გვერ-  
დით ბოძს ვასობდით, ზედ კი ნავთის ფარანს ვკიდებ-  
დით. რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა — ნავთი გამოგვ-  
ლევიდა, ქარსა და თოვლს კი ჩვენი ნიშანსვეტი მიწასთან  
გაუსწორებია, მიდი თუ ვაუკაცი ხარ და მიაგენი — ამ  
ტრიალ მინდორში სად გედო ბინა, ყოველი გოჯი მიწისა  
წვეთი წყალივით რომ ჰგავს ერთმანეთს. კიდევ უარესი  
— ადვილი შესაძლებელი იყო ადამიანი რაიმე ხიფათს  
გადაჰყოლოდა, რას იზამდი? — ერთად-ერთი, რაიც ძალ-  
გვიძდა, ეს იყო პირჯვარის გადასახვა, ღმერთის მოხ-  
მობა... შეეძლო კი უფალს ჩვენი შეწევნა? მაგრამ ეს  
იყო უწინ. დღეს, ხომ ხედავთ, ამ უსასრულო ტრამა-  
ლებზე მეცხვარეთა სოფლები გაშენებულა, ამ სოფლებს  
ქართული სახელწოდებები აქვთ: ესენია — მღვთა, სნო,  
ყაზბეგი, სიონი და სხვა. უამრავი მანქანები და ტრაქ-  
ტორები დაგუგუნებენ ველ-მინდვრებზე, გვაქვს სინა-  
თლე ბინებში, ყოველკვირა შეგვიძლია მივიღოთ თბი-  
ლი შხაპი, ჩვენზე გამოყოფილია სპეციალური სარეცხი  
და საპარკმანერო მოწყობილობის მანქანები... ადრე  
ჩვეულებრივად მწყემსები მთელი თვეობით წვერგაუ-  
პარსავნი დადიოდნენ, ამ და სად დაინახავ მოუფლელ-  
სა და ბერივით წვერმოშვეტულ სარქალს?! გვაქვს საკუ-  
თარი რადიოსადგურები... შესაძლებელია ბინიდანვე  
თბილისი გამოიძახოს კაცმა და გემოზე ელაპარაკოს...  
ადარას ვამბობ იმ ყურადღებასა და მზრუნველობაზე,  
რასაც ჩვენდამი იჩენს ხელმძღვანელობა. ყიზლარის ზამ-

თრის საძოვრებს ხომ სპეციალურად ამარაგებენ ყოველ-  
გვარი პროდუქტითა და საქონლით... თვითეული რაიო-  
ნის ცენტრის მაღაზიაში შეგიძლია შეიძინო ყველაფერი,  
რაც მოგესურვება...

— ჩემი მეგობრებიდან დღესაც აქ არიან ბილანის  
კოლმეურნეობის სარქლები — ვასო ქენჭაძე და გიორგი  
მიდელაშვილი... სარქლებში მეგობრობა ნიშნავს თავგან-  
წირვას საყვარელი ადამიანისათვის, ათობით კილომეტ-  
რზე გასვლას ქარსა და წვიმაში მისაშველებლად. ყველას  
როდი შესწევს ამისი უნარი, — ბუნებას მეგობრობის ნი-  
ჭი ერთნაირად როდი მიუცია ყველასათვის.


სარქალმა ხუთი თითივით უნდა იცოდეს როგორ გა-  
შალოს ფარა. უნდა ეხერხებოდეს საბალახობის შეგუ-  
ლება და შერჩევა. მე და ჩემს ამხანაგებს, მაგალითად, ად-  
რე ზამთრისპირზე, როცა ისე არ ცივა და ცხვარიც ღონე-  
ზეა, წესად გვაქვს გადაქცეული, ფარის განაპირა იალა-  
ღებზე გალაღვა. ახლომანლო საბალახობი ზამთრის  
ძნელი პირობებისათვის უნდა შემოინახოს გონიერმა  
პატრონმა. შესაძლოა ასეთი მკაცრი ადათის დაცვა ცო-  
ტა საძნელო საქმეა და ყოველთვის არც ხერხდება, მაგ-  
რამ რა უნდა იყოს იმაზე სასიხარულო მეცხვარისათვის,  
ლუბი ქედლია რომ არ ეყოლება ფარაში. როგორც უკვე  
ვთქვი, ჩვენი კაიკაცობაც ხომ ამაშია — როგორ ჯანზეა  
ნაწამთრალი პირუტყვი...

მოუშუშებელ იარად დაგვაჩნდა ყველას, 1953 წლის  
ავბედითი დღეები, სამუდამო ტკივილად დაიბუდა სხე-  
ულში. უჩვეულო ქარმა და თოვლიანობამ სინსილა გაავ-  
ლო ყიზლარის ფარეხებს. პირადად ჩემი მოსავლელი  
1000 სულიდან შინ, მშობლიურ ლენინგორში, ძლივს  
ათი ლუბი თოხლი მოვაბრუნე. ჩვენ ტანში გვაცახცა-  
ხებს, და ვტირით ხოლმე იმ სიმწარის გახსენებაზე...

სხვათაშორის შემიძლია ერთი საიდუმლო გაგანდოთ.  
განა რას მოვყავართ ძველი სარქლები ამ ტრამალებში?  
რას განიცდიან ახალბედა ჭაბუკები ნოლაზე, უფროსე-  
ბის მხარდამხარ რომ შერკინებია ქარების მოძალებას?  
— ჩუმად მეუბნება იასონი — იქნებ ბევრს წარმოდგე-  
ნაც არა აქვს რა უჩინარი სილამაზე სუფევს ამ ქვიშა-  
რებში, ოჯოჯოებით მოფენილ ტრამალებზე. გიყურები-  
ათ ოდესმე კასპიის ზღავეზე მზის ამოსვლისათვის? მე-  
წამულისფრად რომ აელვარდება აღმოსავლეთი და  
ზღვის მოლიცილიცე ტალღებში ონავარი ბავშვივით  
ჭყუმალაობს. დიდი მნათობი?.. ან ეს ქარების სისინი  
არაფერს გეუბნებათ?.. ეს ტრამალების დიდებული ჰიმ-  
ნია, ჰიმნი მარადისობაზე, უძლეველობაზე... მომავალ ნა-  
თელ დღეებზე...

ერთხელ ღამეც უნდა ნახო ეს მინდვრები... ხანდახან  
საიაკები, — გარეული ცხენები რომ გაიშლიგინებენ

# რომ თოთხმეტი წლისა ვიყო



სიფხვრის  
გახსენება

## გაგუ მუგუკიშვილი

მომეღანდები და ისევ მაგზნებს  
შენი უბნები, გზები, ხიდები...  
შენგან ნაბოძებ ნამუსის საგზალს,  
ვიზოგავ დღემდე და ვუფრთხილდები.  
შენს ჭებში ყრია ცის ნაფლეთები,  
ალაგ უღრუბლოდ, ალაგ ღრუბლებით...  
და როცა ნატვრად შემომენთები,  
და როცა ფიქრად დამეუფლები,  
მეხსიერების თეთრი სკივრიდან  
ამოფრინდება ბავშვობა, ყრმობა,  
და მთელი დამე ლექსს ვუკირკიტებ,  
და სიტყვის წნელით სტრიქონებს ვღობავ.

ფშანებში... ველის თეთრი კურდღლები კი მანქანის  
ნაკვალევებში ჩაუწყულან და შუქფარების სინათლეზე  
ხტუნვა-ხტუნვით გარბი-გამორბიან შეშინებულნი და  
დაბნეულნი...

გინახავთ ცრუ ტბები? თვალის მომჭრელად რომ  
ლაპლაპებენ და მლაშე-მლაშედ იორთქლებიან?

ნათქვამია — უნდა ნახო, რომ განიცადო... აქაც  
შეიძლება ბევრი რამის ნახვა... ბევრის გაგება... ჩვენც  
ბევრი გვქონია ბედნიერი წუთები, ყოველი სუსხიანი  
ზამთრის მერე, ჩვენი დიდი მოლოდინის აღსრულების  
დღეც დგება. სარქალთათვისაც ენთება ცხრათვალა მზე  
ტრამალთა თავზე — თბილი, საყვარელი გაზაფხულის  
მაუწყებელი. დიახ, მაშინ ზეცით ყველა მოზამთრისა-  
თვის რეკენ მხიარული ზარები — მშობლიური მთები  
მოგვისმობენ... უკვე ყველა გზა შინისაკენ მიემართება...

იასონის თვალში ცრემლი აკიფდა — წარსული ტკი-  
ვილების გახსენებისა და მოსასვლელ გაზაფხულთა შეგ-  
რძნებით გამოწვეული სიხარულის ნაზავით. იგი თავის  
ერთგულად შემოღვეულ კომბალს ჩამოეყრდნო და ნაო-  
მარი, გამარჯვებული მთავარსარდალივით გადაჭხედა  
ფარამოფენილ უსასრულო ტრამალებს... მან ხომ მარ-  
თლაც უამრავჯერ დაამარცხა ჩრდილოეთის სუსხიანი ქა-  
რები, თოვლი და სიცივე ახლოს არ გააკარა თვინიერ  
პირუტყვს.

ვინ იცის, რამდენჯერ შემოჰყრია მარტოობის გუ-  
ლისგამაწვრილებელი გრძნობა ამ 45 წლის სავალზე...  
მაგრამ არაოდეს არ გაუგდია ერთგული ჯოხი ხელიდან,  
არ მოკაკვულა განსაცდელის წინაშე. არ უთქვამს ხმამა-  
ღლა: — ჰო, ბებერო სარქალო, შენ რა ხანია, განვლე  
შენი წილი ხიფათიანი გზებისა. წადი შვილებთან და შვი-  
ლიშვილებთან ოჯახში, სხვა თანატოლებივით იყუჩე სი-  
ბერის უამს, ვითარცა ეს ჭადაროსნებს შეჰფერიით... გეყო-  
ფა უსასრულო ხეტიალი.

— ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო? — ჩუმად,  
რადაცნაირი სინანულით თუ მეუბნება ბერკიაცო, — იმ  
გზას გავყვებოდი, რომელსაც დაადგებოდა და აირჩევდა  
გუმანი ჩემი, რადგანაც ყველა გზა გასავლელია და  
ცხოვრებისეული. ყველა ბილიქს ამ ქვეყანაზე სჭირ-  
დება თავისი ერთგული მგზავრი. დიახ, კვლავ დავიჭერ-  
დი ხელში სარქლის კომბალს, გავუყენებდი საქონელს  
სამოვრებისაკენ და გულში ვინატრებდი:  
— მშვიდობით გვატარე ღმერთო...



საქართველოს  
კომპაგვირის კვლევი  
გვარდია

ა. იმედაშვილი



საკავშირო ახალგაზრ-  
დული ლენინური კომუ-  
ნისტური კავშირის ერთ-

ერთმა რაზმმა — საქარ-  
თველოს კომკავშირმა დი-  
დი და სახელოვანი გზა  
განვლო. იგი იშვა მენშე-  
ვიკური ხელისუფლების  
წინააღმდეგ ბრძოლის  
ქარცეცხლში. ამ ბრძო-  
ლას წარმართავდა საქა-  
რთველოს ბოლშევიკური  
პარტია, რომელმაც თავი-  
სი ახალგაზრდა წევრები,  
ახალგაზრდობას შორის  
რევოლუციური მუშაობის  
გასაშლელად მიავლინა.  
ახალგაზრდა ბოლშევიკე-  
ბის თავდადებული, ენერ-  
გიული მუშაობის შედე-  
გად საქართველოში ჩამო-  
ყალიბდა ჭერ ახალგაზრ-  
და სოციალისტ-ინტერნა-



იმ ერს  
რა მოკლავს

ამ სიმაღლეზე  
ვინ ასწევდა  
მოკვეთილ მარჯვენს,  
თუ არა ერი  
გონიერი,  
გულადი,  
გამრჯე.  
იმ ერს რა მოკლავს  
ფიქრო ჩემო,  
იმ ერს რა მოკლავს,  
ცამდე მანძილი  
სვეტიცხოვლით  
ვინც დაამოკლა.



რისკა მზუჯი  
ჯუჩუჯი ჟარია

ირმას,  
თამარის ღიმილს ვჭირდები  
და მყუდროებად ვჭირდები აკვნებს...  
ესევა ჩემი ფიქრის ჩიტები  
ყოველდღიური ამბების საკენკს.

წვეთ-წვეთად მღერის ძარღვებში სისხლი,  
როცა მზუჯა და...

ლურჯი დარია;  
წვეთ-წვეთად მღერის ძარღვებში სისხლი,  
როცა მეგობრის სულს უხარია.

როდესაც მიწა თბილი და მწვანე  
ხარობს ფესვების ჩუმი ალერსით  
მე ვხედავ ცისფრად დანთებულ ამინდს,  
თვით ბერიკაცის დაღლილ თვალეებში!  
კვლავ სიყვარულის ბილიკით ვივლი  
და ისიც კმარა ბედნიერებად,  
რომ ჩემი ჩრდილიც,  
მსუბუქი ჩრდილიც  
მშობელი მიწის მკერდს ეფერება.



ციონალისტთა ორგანიზაცია — „სპარტაკი“, ხოლო მის საფუძველზე შემდეგში შეიქმნა საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი.  
ამ წიგნის მიზანია გააც-


ნოს მკითხველს კომკავშირის ძველი გვარდიელების — სპარტაკელების გმირული ცხოვრება, მოუთხროს იმათზე, ვინც ახალგაზრდობის კომუნისტურ საქმესთან იდგა და თავდადებულად იბრძოდა ქართველი ხალხის ნათელი ცხოვრების შესაქმნელად.

ხუთი ბავშვი  
და ერთი  
ძალღი  
რენე რეჟანი

წიგნი მიმზიდველად,  
ცოცხალი ფერებით გვი-

ხატავს ომისშემდგომი პერიოდის იტალიელი ბავშვების ცხოვრებას. მწერალი ქალი რენე რეჯანი სიყვარულით ქმნის თვითეული მოქმედი პირის სახეს. ულუკმაპუროდ დარჩენილი ბავშვები იძულებული გამხდარან არსებობისათვის თვითონვე იზრუნონ. რა ეშმაკობას არ მიმართავენ საკუთარი ორკესტრის ჩამოსაყალიბებლად. პატარებს ეხმარებიან თვითნასწავლი მუსიკოსი, ახალგაზრდა მოჯამაგირე ტური, მეკარე, დეიდა პიერინა და

სხვა, უბრალო, კეთილი ადამიანები, რომლებსაც თვითონაც ბევრი უბედურება აქვთ გამოვლილი. წიგნი „ხუთი ბავშვი და ერთი ძალღი“ დიდი ინტერესით იკითხება.



# ზეთი, ჩვენი ხეივანი

მომხრობა



მიწაწილი საჭირიდან სამოდე კომუნისტრი თუ  
ქნება დამარტული. იქვეა ბუნებრივად, მაგრამ  
გამეფის, რომ იქ ბორი ტყეებში იყო, სახარბიდე მან  
ნიკოსთან არავინ ტრენებდა.

მიწაწილია რომ მიუღწეოდელი, ბიძა ქრისტო  
ბიძახა

— ბიძა შევეყვით, ზემოთ ბატარა ხეებია ერთი-  
ნათი ვახალხლით. შევამ მსდე უნდა ვყოთ  
წყლისძალი უფოდი ამ მტრში ავიტორინება, ჩემი  
აზრით, კერძოდ ბერის უნდა იყოს. მერე ხეები რომ  
ავალი, ავთო მხარდნი დავეშვებო, წაწყობას ვყოფი-  
ლებო. იქ იყო მის ბრას ტრის ბუნავია. მასსესი, იქ  
წიფობანი, გარეული ღორი იყო, მაგრამ ამოყვია.

ხეებში ნაკლებები მიჩრახლებდნენ, ქაქათა  
თოვლე ნაკლებს წყალი წიფობი მოჩანდა. ამ გორა-  
ნეთი ადრე ამიტომ დაარქვეს მიწაწილი. ბერეკრ  
გამოძილა უსიყვარულო ღრბიანი ვადმოცემული ამბავი:  
მიწაწილია ღორილივ ნაკლებები უფოდი და ქვიზანი,  
ფრთხლო კლებებზე ნაგვის დსამბი მტკიცე იყდა,  
მერე ზევის დასწევითა, მიწაწილიას შევერავებო შე-  
ნისსელი მონასტრის ნანგრევები იყოთ. ამ მონასტრე-  
ზე გამოიჩინა თათრების შემოსევის დროს, მტრის ხელე-  
მი არ ჩავადგინეთ, მონასტრეში ფრთხლო კლებზე ვა-  
დაცემდნენ. თათრებს ციხელი მონასტერი რომ და-  
ვედრალი, გავერებულს და დახერხებოთ.

ბიძა ქრისტო ხეებსაგან გავიდა, შე გამოშა დამტო-  
ვა და ანაფრთხილია ბილაგებზე თოვლსა არ მოვატყუ-  
და და ხეები არ ჩავადგინო, ძალეზე შენ გაყოლია.

იციოდ წამებო არ შეინდა ვეფოლი, რომ წყლის-  
ქათამი აფრინდა. კამარა შეწყნა და ბიძა ქრისტოს  
გაშინა. თათრის ხმა გავიგონე, მერე ბიძა ქრისტოს ხმა  
მომესმა, აუფოს უყვირობდა: რას უყოფენ, მიმტრებო,  
მალე ბათეც დაეხანებ; წყლისქათამი პირში გაჩაჩა და  
ჩემსგან მოიწედა. აღმართი ამობრინა, ხანასღირევი  
ფეხებში მომიფიდა და უკანვე გაქალსა.

ქვევ განავრთო მალე სცა.

ბიძა ქრისტო ხანაგან გამევირდა, ხმას მაქუნდ-

და; ძალებს ყუფაც მესმოდა.

უკვე წყარვალზე ვიყავი, ძახილი რომ გავიგონე:  
ჩქრია, გიგი, ძალებსა ნადირი ხეზე შეავდეს! იქით გა-  
ვქეცი, სადნაც ყუფა მომესმა. ძალები მუხას ბრის  
უკლებნი, ტოლებნი და ხეზე ავიყოს აღმოდენენ  
დათოვლო ტრეტებში შეუი სო შევამწინე. მივხდი  
ძალები სწორად იმისთვის ილაგებდნენ თავს.  
აღარ დაგვაფენი დღეებში და ვსრლოლე ტრეტზე  
რადე კატრხელა ცხოველი ჩამოვიდა, მერე მოწყდა  
და თოვლით ჩავადინე. ძალები იმწამლე მივადენენ და  
აწყეტებდნენ. პირის ზღვა ვერ გახედს. მივბრინე  
უცხო ცხოველი წამოდა, კბილები დაჯრიდა, ჩემსკე-  
წამოიწია, გრძილო ტყავა და თოვლი ამოკლტირალა.

— ფრთხილად, გიგი, არ დააღვირო ძალებს! —  
მომახანა ბიძა ქრისტომ.

ბიძა ქრისტო მალე მოვიდა. ძალებს დაუყვავა, ნა-  
ღრის მიუხანებდა, უცხე კისრებზე ჩემშიანი ფეხი და-  
აფდა.

ნადირის კბილები დაჯრიდა და აუკისინდა.

— რა არის? — გოთხე ბიძა ქრისტო.

— ვერ იცხობ ვერინა. საცუფეთსო ტყავი აქვს. ტუ-  
რის ტყავზე ვერბად ფაოსმს.

საწყლად ვერბამ ბიძა ქრისტოს ფეხებზე დალა-  
სელი.

— ბიძა ქრისტო, კურდული ბოსტანსა და სოხის  
ნათესის მიტრებდა, ტურა — ჭობებში, ამ საყოფანა  
ვი რა დავიგებო?

— ეჰ, — დაღვირა ბიძა ქრისტო. — ეს არის, რაც  
არის, ხეზეც კი იჭრის ჭობებში. თქვენამდე არ ჩამო-  
მავრამ ტურს ახლოსახლო ბუნებში ქათამს ანადგურებს.

... მონასტრის ნანგრევებთან შევიტყვერე. შე კიბი-  
ლი წყლისქათამი ამოვიფი.

— ეს თქვენია... — ეთხარა ბიძა ქრისტოს, —  
თქვენ მოსკალი, ძალებს კი მე მომინდა.

— ამდღობ, გიგი. — თქვა მან, — საერთოდ, ვახ-  
სოვდები ნადირბინი ქეჩიანა, შენისა ღამბი არ არის.  
დღეს შენ მოსკალე, ხელი — მე, ფრინველს გაყოფა

10956

აჩა მშამს, ნადირის კი აფილებულია. ფრინველ მამს  
უნდა გვეყო ამჩანეს, თუ ხელი მოვიტყუო.  
— ვაი, გრძილო, ვაი!

თითქის ხარბახანმა დადგენია, სამხნელი ხმე-  
რი მომისა; დაგორებულა ქვა სათბოთი გადაეჭა უსუს-  
ვლიში.

თოვლი ვახალხლი. ბიძა ქრისტოს თოფი თოვლე  
მივიღე თოფონ კლებში ჩაიდებულყო და მარტო  
წყავის ტრეს ჩაღებულ ხელი მოუჩანდა. მივბრინე,  
ტრეც დაიჭირეთ, — ამომხანა.

სორჩი ტრეც ვახალხლოყო. ბუნებზე მივესწრა.  
ტრეს ფეხები დავადე, ბიძა ქრისტოს მანბრში მივე-  
დი და ხელი ჩავფიდე. ბიძა ქრისტომ კლებზე ფეხი მო-  
ვიტია, მეც მივეშველე და როგორც ჩემს, ამოფიფხდა.  
შემეშველი იყო, კანალებდა სახეზე მიწასდერი იყო.

— კიბამ იმ ქვეყანაში წარილო წავალი — სცადა  
გამოქეცა.

— მიველიო, — დამიხანა ბიძა ქრისტომ. ბოლოს  
ჩაფეხულია და ერთმანეთის დახმარებთი ძლებს ჩაველი-  
ო ქვევით.

ბათოც იქ დავიგებე. ტურა თავგაჩხილი ველი.  
გრძილოს კი ლიდი თეთხეც დასცემდა და ქვევ მოე-  
ცია.

— გრძილო!  
ბიძა ქრისტო, ღორს სცა, მინავა და გადავიტო.  
თავისფულხა რომ იყარინო, გრძილო შეიბრის, წაბო-  
გონა სცადა მაგრამ წილი ვერ აღუ, მივეშველე, წამო-  
ვაყენე. ფეხზე ვერ დავა, ჩაიყვია და აწყეტებულა.

— შე აწეულე! — მოთხანა ბიძა ქრისტომ.  
გრძილოს დავაქეცრე. მანვე შემომხანდა, თვალთ  
მომახანა.

— წალი, წე უყურებ, — მოთხანა ბიძა ქრისტომ.  
წალი, ეს ტურა ვათარევი. ხილდანი დადგენეთ და მერე  
შარავებო შევიტყუო.

— განხანს ეს ტურა! — ვიყავა ვე, — ხელს არ  
ვახლებ. ნივან დავიხანე, ჩემს გრძილოს... ზე გრძილო  
წყავისა, ვებრემის ვერხებზე, იქნებ ჩამე უსჯულსა...

დახტე, გრძილოს მიაშურა, მაგრამ გვიან იყო, — ქვა  
დავიტო... თოვლებზე ხელი მიფიფხე და ვიყვირე:

— ვაი, გრძილო, ვაი!

თითქის ხარბახანმა დადგენია, სამხნელი ხმე-  
რი მომისა; დაგორებულა ქვა სათბოთი გადაეჭა უსუს-  
ვლიში.

თოვლი ვახალხლი. ბიძა ქრისტოს თოფი თოვლე  
მივიღე თოფონ კლებში ჩაიდებულყო და მარტო  
წყავის ტრეს ჩაღებულ ხელი მოუჩანდა. მივბრინე,  
ტრეც დაიჭირეთ, — ამომხანა.

სორჩი ტრეც ვახალხლოყო. ბუნებზე მივესწრა.  
ტრეს ფეხები დავადე, ბიძა ქრისტოს მანბრში მივე-  
დი და ხელი ჩავფიდე. ბიძა ქრისტომ კლებზე ფეხი მო-  
ვიტია, მეც მივეშველე და როგორც ჩემს, ამოფიფხდა.  
შემეშველი იყო, კანალებდა სახეზე მიწასდერი იყო.

— კიბამ იმ ქვეყანაში წარილო წავალი — სცადა  
გამოქეცა.

— მიველიო, — დამიხანა ბიძა ქრისტომ. ბოლოს  
ჩაფეხულია და ერთმანეთის დახმარებთი ძლებს ჩაველი-  
ო ქვევით.

ბათოც იქ დავიგებე. ტურა თავგაჩხილი ველი.  
გრძილოს კი ლიდი თეთხეც დასცემდა და ქვევ მოე-  
ცია.

— გრძილო!  
ბიძა ქრისტო, ღორს სცა, მინავა და გადავიტო.  
თავისფულხა რომ იყარინო, გრძილო შეიბრის, წაბო-  
გონა სცადა მაგრამ წილი ვერ აღუ, მივეშველე, წამო-  
ვაყენე. ფეხზე ვერ დავა, ჩაიყვია და აწყეტებულა.

— შე აწეულე! — მოთხანა ბიძა ქრისტომ.  
გრძილოს დავაქეცრე. მანვე შემომხანდა, თვალთ  
მომახანა.

— წალი, წე უყურებ, — მოთხანა ბიძა ქრისტომ.  
წალი, ეს ტურა ვათარევი. ხილდანი დადგენეთ და მერე  
შარავებო შევიტყუო.

— განხანს ეს ტურა! — ვიყავა ვე, — ხელს არ  
ვახლებ. ნივან დავიხანე, ჩემს გრძილოს... ზე გრძილო  
წყავისა, ვებრემის ვერხებზე, იქნებ ჩამე უსჯულსა...



— კარგი, წადი, გრძელოს მე წამოვიყვან.  
წავედი. ცოტა რომ გავიარე, თოფის ხმა მომესმა. მივიხედე, არ მომეწონა ეს ხმა. დავიცადე. ბიძია ქრისტო მალე გამოჩნდა. მის ერთ ხელში ბათო ეჭირა. მეორეში ტურა.

— ვერ მოვაშორე გრძელოს, არ სტოვებდა. — მითხრა ბათოზე.

— გრძელო რა უყავი?

— ნუ მეკითხები, ბათოს მოუარე, წავიდეთ.

— მითხარი, თოფი ვის ესროლე?

— გრძელოს ვესროლე, ბიჭო, გადასარჩენი პირი არ ჰქონდა, პირუტყვის წვალეზა ცოდვად მიმაჩნია. მოვკალი და წვალეზას გადავარჩინე.

ავცახცახდი, ტანზე ეკალი დამაყარა.

— ვინ იყო პირუტყვი, ჩემი გრძელო?! მონადირე ძალს თოფი ესროლე. კაცი არ ყოფილხარ, შენი არაფერი არ მინდა! — ქამარზე ჩამოკიდებული კვერნა მოვიხსენი და ფეხებთან მივუგდე. — აჰა, შენი იყოს! — მივაძახე, ბათოს ხელი დავავლე და ცრემლის ყლაპვით გამოვიქეცი.

სახლს რომ მივუახლოვდი, გული უფრო ამომიჭდა, თავს ველარ მოვერიე და ცრემლი ღაპაღუბით დამცვივდა.

— რა იყო, შვილო, ხომ არაფერი დაგიშავდა?! — მომაძახა დედაჩემმა და ჩემსკენ გამოქანდა. როცა გაიგო, რომ არაფერი მჭირდა, დამშვიდა.

პალატში შევედი. მამაჩემი სამფეხაზე იჯდა და მოთმინებით შემომცქეროდა, ჩემი ცრემლის მიზეზს ელოდებოდა. მივედი. მის წინ დავიჩოქე, თავი კალთაში ჩავუღე და ავკვითინდი.

პალატის ღია კარებში ბათო შემოიჭრა, მამაჩემს მივარდა, შეჰყეფა, აკრუსუნდა და კულის ქიციანი დაიწყო.

— გრძელო სადღაა? — იკითხა მამაჩემმა, — შემოგაკვდა, შვილო?

— მე არა... — სიტყვა ველარ გავაგრძელე, ყელში რაღაც გამეჩხირა, ცრემლიც მახრჩობდა.

— საზიზღარი კაცი ყოფილა ბიძია ქრისტო, — ამოეთქვი როგორც იქნა. — კლდეში გადაჩხილ ძალს თოფი ესროლა და მოკლა, პირუტყვის წვალეზას ვერ ვიტანო.

მამაჩემმა თავი წამომიწია, დამიყვავა და მითხრა:

— არა, შვილო, უმიზეზოდ ქრისტო ძალს თოფს არ ესროდა. მომიყევი რა მოხდა.

მოუყევი.

— საწყალი გრძელო! — ამოიხვნეშა მამაჩემმა, — კარგი ძალის დავკარგეთ, მაგრამ რას ვიზამთ! — ასეთია ნადირობა, ხან ხელი მოგეცარება, ბიფათისაგანაც არა ხარ დაზღვეული. ნუ დარდობ, უკეთეს ძალს გიშოვნის, ქრისტოს კი ცულად მოჰქევიხარ!

პალატში ბიძია ქრისტო შემოვიდა. მე კუთხეში ავიტუხე და თავი მივაბრუნე.

— გამარჯობა! — თქვა მან და ნანადირევი იატაკზე დაყარა.

— შევრცხვით მე და გივი დღეს. ისეთი ძალის დავველუპა, ერთ ოჯახად ღირდა. ჰკუთხე აღარა ვარ.

— ვიცი. — უპასუხა მამაჩემმა. — რას იზამ. გივის კი ნამეტანი მოსვლია, შეურაცხყოფაც მოუყენებია, ისეთი სიტყვა უთქვამს, რომლის თქმაც არ ეკადრებოდა.

— ეგ არაფერია, შევრიგდებით, — თქვა ბიძია ქრისტომ, მერე თავისთან მიმიხმო. მივედი. თავზე ხელი შემომხვია და შუბლზე მაკოცა.

ზამთრის არდადეგები ისე გავიდა, ზეგნებისაყენ პირი არ მიქნია. ხანდახან ჭალაში თუ წავინადირებდი.

ბათო თავისას არ იშლიდა. წყლისქათამს არა, მაგრამ შაშვსა და ჩხარტუს პირიდან ძლივს ვაგლეჯდი. სამი-ოთხი კიდეც შეახრამუნა.

ვერ ვუწყებოდი, ვერ ვტუქსავდი: მაშინვე გრძელო მახსენდებოდა და გული მიჩვილდებოდა. თანაც ვხედავდი, გრძელოს დაკარგვას როგორ განიცდიდა.

გაზაფხულდა. სანადიროდ ფეხიც არ გამიდგამს. ბათოს მოსწყინდა. სკოლიდან შინ მოსულს ფეხებში მეზღანდებოდა, მელაქუცებოდა. მაგრამ ნადირობის სეზონი უკვე აღარ იყო. ველოდებოდი, სადაც იყო გვირგვინი და კვირიონები მოფრინდებოდნენ და ცოტათი გავახალისებდი ბათოს.

ერთ დღეს გავიგონე, კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმის მომვლელი ბიძია დომენტი სოფლის ცენტრში გამოსულიყო და ყვიროდა: ვილაცის ძალის შემომივარდა ფერმაში და ქათმის წიწილებს მუსრი გაავლოო. თვალი მოვკარი, ჭრელი იყოო.

მე რომ დამინახა, მომვარდა:

— გივი, მგონი, შენი ძალის იყო. თუ ეს დადასტურდა, იცოდე, მე და შენი ძალის ამ ქვეყანაზე ერთად ვერ დავეტევიო.

— ბიძია დომენტი, როგორ გეკადრებათ, ჩემს ძალს საქათმეში რა უნდოდა?! ალბათ, შეგეშალათ.

— დომენტი, შეგეშლებოდა, შე კაცო! აბა, გივის ძალს წიწილებთან რა უნდოდა, ნამდვილი მონადირეა. — თქვა ერთმა.

— ჭრელი იყოო, რომ იძახი, ჭრელი ძალის გივის მეტს არავისა ჰყავს? — დაუმატა მეორემ.

იმ საღამოს შინ ცუდ გუნებაზე დავბრუნდი. ხმა არ გამილია, მაგრამ გულში მოუსვენრობას ვგრძნობდი. ვაითუ მართლა გაუწყრა ღმერთი ბათოს და წიწილები გარეულ ფრინველებად მოეჩვენა. მაშინ რა უნდა ვქნა? რას ვიზამ, დავადებ ჭაჭვს კისერზე და ნახოს, მთელი დღე დაბმული ყოფნა როგორი იქნება!

ბოლოს ეჭვი გამეფანტა. ნამდვილად მოტყუვდებოდა ბიძია დომენტი. აბა ჩემს ბათოს რა გაუჭირდა ისეთი, საქათმეში გადაძვრეს და წიწილებს დაერიოს? არა, ამას ჩემი ბათო არ ეკადრება.

სამი დღის შემდეგ ბიძია დომენტი ჩვენს ჭიშკარს მოადგა. მისი დანახვა არ მესიამოვნა. ბიძია დომენტიმ მე არც შემომხედა, მამაჩემი იკითხა. შინ შევიპატიყე. პალატში შევიდა, მამაჩემსა და დედაჩემს მიესალმა, მერე ჩამოჯდა, ფარფლიანი ქუდი მოიხადა და მუხლზე ჩამოიკვა.

— როგორა ხარ, ჩემო დომენტი. ხომ არაფერმა შეგაწუხა? — ჰკითხა მამაჩემმა.

ბიძია დომენტიმ ჩაახველა, პაპროსი ამოიღო და მოუკიდა.

— ჩემო სარდიონ, გაყევილს გატეხილი სკობიოა, ნათქვამია.

— მერე?

— მერე ის, რომ კარგ ამბავზე არ ვარ მოსული. გივის კი ვუთხარი, მაგრამ...

მამაჩემმა შემომხედა:

— გივი ამ კაცს ხომ არაფერი აწყენინე?

ბიძია დომენტიმ დამასწრო.

— ნეტავ მასე იყოს, მე და გივი მოვრიგდებოდით.

უფრო დიდი საქმეა, ვიცი გეწყინება, მაგრამ კაცი ხარ და გამიგებ. ცოდვა ვარ, ცოდვაზე ცოდვა.

— რა იყო, შე კაცო, თქვი! — ვერ მოითმინა მამა-ჩემმა.

— კი იცი შენ, რამდენი წვალემა უნდა ინკუბატორის წიწილების გამოზრდას.

— ვიცი.  
— ჰოდა, იმ გამოზრდილ წიწილებს ვილაცა რომ შეგიჭამს, რა გუნებაზე დადგები?

— ძნელია, ძალიან ძნელი.  
— ჰოდა, ავაშენა ღმერთმა! ძნელი რომ არის, იმიტომ გამიჭირდა მოსვლა.

მამაჩემს შევატყე, რომ გულზე მოეშვა.

— რამ შეგაშინა. შე კაცო, ტურა ან მაჩვი შემოგეჩვეოდა. აგერ, გივი დაუყარაულებს დილაობით და შხამალ აღენს შენი წიწილების ცოდვას.

— ჰე, ტურა და მაჩვი რომ იყოს, რა მიჭირს. რა ვქნა, გივის ძალს ისეთი სახელი აქვს გავარდნილი, რომ არავინ მიჯერებს. არა და, თქვენ რომ გხედავთ, ისე ვიცი, ნამდვილად გივის ბათო შეეჩვია ჩვენს ფერმას, დამიყლიტა წიწილები. ცოდვა ვარ, ხალხო!

ოთახში ვერ გავჩერდი. გარეთ გამოვედი. ბათოს მოვუხმე. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა. თვალს მარიღებდა, თითქოს რალაცისა რცხვენოდა.

— მოდი, ბათო, ჩემო ბათო!

მოვიდა. წინ გამიჩერდა და თავი ჩალუნა. ჩავიმუხხლე. პირი გავაღებინე და ჩავხედე. საეჭვო ვერაფერი შევამჩნიე.

— ბათო, ჩემო ბათო, მართლა შეეჩვია საქათმეს? მითხარი. მეტს აღარ მიხვალ იმ საქათმეში. გაიგე?

ვერაფერი გაიგო ჩემმა სულელმა ბათომ. იქნებ არც უნდოდა გაეგო. აბა, მას თუ უნდა, ყველაფერს იგებს...

ბიძია ღომენტიც გამოვიდა, უკან მამაჩემი მოყვებოდა. ბიძია ღომენტი მამაჩემს მიუბრუნდა და უთხრა:

— სარდიონ, ნეტავი ჩემი ეჭვი არ გამართლდებოდეს და შენზე მეტად თუ არ გამიხარდეს, კაცი არ გიყო


ამ ამბავს ჩვენს ოჯახში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა მამაჩემი ხმას არ იღებდა. დათო იძახდა მაგი მართალი არ იქნება, ღომენტი ბიძია ტყუისო. დედაჩემი ვერ ისვენებდა:

— მაგ ღომენტიმ ისე მიკიბ-მოკიბა რალაც-რულაცები, რომ კაციშვილი ვერაფერს გაუგებს. იქნებ მოუვლელივით დაეხოცა წიწილები და მიზეზს ეძებს. მაგას ეს ძალღიჯი ქუჩაში ნაპოვნი ხომ არ ჰგონია, შვილივით მყავს გაზრდილი!

— არ თქვა მასე, რა იცი, იქნებ მართალია კაცი. შენ რაღას ღუქხარ, გივი? — მომიბრუნდა მამაჩემი.

— რა ვქნა. რა უნდა ვთქვა, როდესაც სინამდვილე არ ვიცი. თუ ბათომ ჩაიღინა, შავ დღეს დავაყრი, დიდ ჯაჭვს დავადებ კისერზე და ვნახოთ, როგორ გადაძვრება საქათმეში.

იმ დღეს მამაჩემმა სამკედლოში გამგზავნა, ცული გამატანა მოსაპირად. სამკედლო საქათმესთან ახლოს იყო. ის იყო ცული სამკედლოში დავტოვე და გარეთ გამოვედი, რომ საქათმიდან ხმაური მომესმა. წიწილების მომვლელი ქალი კიოდა, შველას ითხოვდა. მივირბინე.



დაფეთებული წიწილები კუთხეში მიუყუდიოყვნენ. იქვე სამი მკვდარი წიწილა ეგდო.

— დამლუბა იმ სამგლემ, ამაგი და შრომა წყალში ჩამიყარა...

— დეიდა ირინე, დანახეთ რა იყო?

— დავინახე, შვილო, დავინახე. წიწილების წივილი რომ მომესმა, მაშინვე გამოვიქეცი. კარში შემოვდგი თუ არა ფეხი, მეტაკა და უცებ დავვარდი.

— მერე ვერ გაარჩიეთ, რა იყო?

— გავარჩიე, — ძალღიჯი იყო, ჭრელი ძალღიჯი.

— ბიძია დომენტიც ასე ამბობს, ჭრელი ძაღლი შე-  
მოგვეჩვიო, მეუბნება, გინდა თუ არა, შენი ძაღლიაო.

— რა ვიცი, შვილო, ცოდვას ვერ ვიტყვი, ვერ ვი-  
ცანი შენი იყო თუ სხვისი, არ დავბნეულიყავი და კარი  
მომეხურა კარგი იქნებოდა... ვისიც უნდა ყოფილიყო  
აქედან ცოცხალი ვერ გამასწრებდა.

საიდანაც ბიძია დომენტიმ მოიბრინა. გაფითრებუ-  
ლი იყო, ცახცახებდა.

— რა მონდა?! — იყვრა მან.

— რა მოხდებოდა? ის ჭრელი ძაღლი შემეპარა სა-  
წიწილეში, დაგვლუბა, სამი წიწილა აგერ გღია, რამდე-  
ნი ჩასანსლა, რა ვიცი?!

ბიძია დომენტიმ მე შემომხედა.

— გესმის? — მკითხა.

— მესმის, — ეუპასუხე, — როგორ არ მესმის! ჩემი  
ბათო თუ აღმოჩნდება, მე ვიცი, რასაც ეუზამ, ჯაჭვით  
დავაბამ, ეზოდან ფეხს ვერ გადმოვდამს.

— ძაღლი წიწილების ჭამას რომ დაიწყებს, მერე მას  
დაბმა აღარ შეველის, მისი წამალი თოფია. სათოფედ თუ  
დავიგულე, მერე მე ვიცი.

— ბათო თუ აღმოჩნდება, ესროლე, არ მიწყინება,  
ესროლე. ასე კი ვთქვი, მაგრამ ტყუილი წამომცდა...  
არა, ბათოს სათოფედ ვერ გავიმეტებდი.

შინ დათო დამიხვდა, მახარა: ჩვენმა კრუხმა წიწილე-  
ბი გამოჩეკაო. აბა რა მეწიწილებოდა, მზად ვიყავი ყვე-  
ლა წიწილა ჯანდაბაში გავეგზავნა, ოღონდ ბიძია დომენ-  
ტის ეჭვი არ გამართლებულიყო.

დედაჩემი ბოსტანში პამიდორის ჩითილებს რგავდა.  
მე და დათოც ვენმარებოდით. მამაჩემი სოფლის საბჭო-  
ში იყო წასული.

ბოსტანის კარი ღია დაგვჩინოდა. ბოსტანში კრუხი  
შემოვიღა. ჩითილებს კორტნა დაუწყო.

— აქში, აქში! — უყვირა დათომ. კრუხი აქოთქოთ-  
და, წიწილები დაფრთხნენ და წივილი ატეხეს.

— მოშვიდათ ალბათ, — თქვა დედაჩემმა, — წადი,  
დათო, საქმელი მიუტანე.

დათომ პალატიდან წიწილებს საქმელი გამოუტანა  
და დაუყარა.

ამასობაში ფოსტალიონმა ვაზეთები მოიტანა. ბოს-  
ტნიდან გამოვედი, ვაზეთები შინ შევიტანე და ახალი  
ამბების კითხვით გავერთე.

უცებ ბოსტნიდან ყვირილ მომესმა. გარეთ გამოვ-  
ვარდი.

— ეს რა ჰქნა! — იძახდა დედაჩემი. — მართალი  
უთქვამს დომენტის. მაგი ძაღლი კი არა, ტურა ყოფი-  
ლა, მომამორეთ აქედან!

დათოს ხელში ჯოხი ეჭირა და ბათოს მისდევდა. ბა-  
თო ეზოს ღობეს გადაახტა და გაუჩინარდა. დედაჩემი  
კრუხთან მივიდა. კრუხი აქეთ-იქით დარბოდა, ქოთქო-  
თებდა. წიწილები წიოკობდნენ.

— რავე თვალსა და ხელშეა ჩაყალაა წიწილა მაკ  
არ გადასარჩენმა. ეს რა ვნახე,  
ესა ჩვენი მონადირე ძაღლი?! კი  
მონადირე კი ყოფილა. შინაურებს  
დაერია!

ხმა არ ამომიღია, ისე გამოვ-  
ბრუნდი უკან.

შუადღისას მამაჩემიც მოვიდა.  
დათომ პალატიში შემოსვლა არ  
აცალა, კარებში შეეგება და ბათოს  
ამბავი ჩაუკაკლა.

— ეჰ, — ამოიხვნეშა მამაჩემ-  
მა, — სიკვდილის მეტი არაფერი  
ეშველება, აწი მაგი წიწილების  
ჭამას არ დაანებებს თავს. კარგი  
მონადირე მაინც არ ყოფილიყო,  
მაშინ არ დამენანებოდა.


— არა, ნუ მოვკლავთ! — შეე-  
ძახე მე.

— აბა, რა ვქნათ? — მკითხა მა-  
მაჩემმა.

— დავაბ... დავედრიგე მე, —  
დღე დაბმულ იყოს, დამე ავუშ-  
ვათ, დამე ხომ წიწილები დამწყე-  
დელი ჰყავთ!

— არა, შვილო, — დაიწყო მა-  
მაჩემმა. — ჩვენ თუ არ მოვკლავთ,  
სხვა მოკლავს. ჯობია ჩვენი მავნი  
წიწილაჭამია, ჩვენვე მოვკლათ.

პალატიში სიჩუმე ჩამოვარდა.  
არავინ ხმას არ იღებდა, ვგრძნობ-  
დი, ბათოს ვერ ვუშველიდი, ამი-  
ტომ ვთქვი:



— რაკი ასეა, თვითონვე მოგვლავ, ჩემია და მე მოვკლავ. სხვას მაინც არ მოვაკვლევინებ!.. — ცრემლები მომერია და გარეთ გამოვვარდი, სახლის გვერდით ავიტუხე და ავქვითინდი.

სალამო ხანს სამი საკურდღლე ჰილზი ამოვარჩიე, თოფი ავიღე და ეზოში გამოვედი. ბათო საიდანღაც გამობტა, წინ დამიდგა.

— წავიდეთ, ბათო, ვინადირით. — ვუთხარი მე და ფეხი გადავდვი.

თითქოს ნათქვამი არ დაიჯერაო, უნდობლად შემომხედა, მერე თავი ველარ შეიკავა და გამხიარულდა. წინ გამისწრო კულის ქიციინით. ჩაის ბუჩქებში გაჭრილ ბილიკს გაუყვია.

სათიბებში გავედით. ეპ, რამდენი გვინადირნია ამ მინდვრებში, რამდენი მწყერი აუფრენია ბათოს აქ!.. თვალწინ წარმომიდგა, როგორ ცუნცულებდა მწყერიფხასა და თრიისკულაში ბათო, როგორ შედგებოდა უცებ ყალყზე და ნაბულს გააკეთებდა. არ მახსოვს, როდესმე მოტყუებულობის. ყალყზე რომ შედგებოდა, ვიცოდი, ბალახში ან მწყერი იყო, ან ღალდა. ახლა ისევე ამ მინდორში მომყავს ბათო. რა იცის საწყალმა, რომ შორს მინდა გავიტყუო, მერე მუხანათურად დავახლო თოფს და მორჩა, ჩემი ბათო აღარ იქნება ამ ქვეყანაზე...

პატარა ღელის პირას ბუჩქნარი იყო. შევისვენე, ქვაზე ჩამოვჯექი. ბათო მოვიდა და ფეხებში ჩამიწვა. კისერი დავფხანე. ესამოვნა, გაინაბა.

— ეპ, ჩემო ბათო, — დავიწყე მე, — რად გინდოდა წიწილებს რომ დაერე, სასმელი გაკლდა თუ საჭმელი? რა გიშველო ახლა. მე რომ არ მოგკლა, ბიძია ღომენტის ვერ გადაურჩები.

ბათო ჩემს ლაპარაკს ყურს უგდებდა. თავი წინა თათებზე დაედო და კულის მიწაზე ურტყამდა.

— რაც არის არის!.. — ვიყვირე და წამოვდექი. ბათოც წამობტა, წინ გავარდა, უცებ შეჩერდა, შემოტრიალდა და შემომხედა. ნამდვილად ვიცი; ბათო მიხვდა, კარგ საქმეს რომ არ ვაპირებდი. რალაცნაირად შემომამტერდა, თოფი რომ დაუღმინე, აწყმუტუნდა. გაქცევა ვერ მოიფიქრა. ვესროლე. ბათომ შეჰკივლა. დაბარბაცდა, დაეცა და ფეხები გაასავსავა.

თოფი დავაგდე, მიწაზე დავემხე და ავღრიალდი. ტირილით გული რომ ვიჯერე. ავდექი, თოფი ავიღე, ნაბიჯი ვადმოვდვი. უნებლიეთ გავჩერდი, მივტრიალდი და ბათოს დავაკქერდი. უძრავად იწვა. ფეხები საზარლად გაეჩაჩხა, შიში თუ რალაც მისდაგვარი ვიგერძენი, ადვილს მოვწყდი და სირბილით შინისკენ გამოვიქეცი.

შინ რომ მოვედი, უკვე ბნელოდა. პალატში ფეთიანივით შევვარდი, თოფი სკამლოგინზე დავაგდე და ვიყვირე:

— მოვკალი ბათო, მოვკალი!  
უმაღლვე გარეთ გამოვვარდი. მიხედე, ქალო, ბავშვსო, — მომესმა მამაჩემის ხმა... არსად წავსულვარ, კიბე ავირბინე და საძინებელ ოთახში შევედი, გაუხდელად დავწექი, საბანი თავზე გადავიხურე.

სულ მალე დედაჩემიც შემოვიდა. სასთუმალთან ჩამოჯდა, საბანი გადამიწია და ხელი უბეში ჩამიყო.

— არა, შვილო, არ იღარდო. შენ კარგად იყავი და ძაღლის მეტს რას ვიშოვით!

არ ვუპასუხე, თვითონაც გაჩუმდა. არ მინდოდა იმ დროს ჩემთან ვინმე ყოფილიყო, მარტობა მერჩინვა.

მთელი ღამე ძილ-ღვიძილში გავატარე. ჩამთვლემდა თუ არა, ისევე ბათოს ვხედავდი სიზმარში...

განთიადისას სულ გამოვფხიზლდი. ლოგინში ველარ გავჩერდი. დათოს გადავხედე. მას საბანი ნახევრად გადახლოდა და ტკბილად ეძინა.

გარეთ გამოვედი. ცაზე მხოლოდ მომსხო ვარკვლავები ციმციმებდნენ მკრთალად.

„აბა, რა ნამუსია, საწყალი ძაღლი მოვკალი და უპატრონოდ დავტოვე! — გავიფიქრე, — მოდი ბარ-ნიჩაბს წავიღებ, მიწას მაინც მივაბარებ.“

ბარ-ნიჩაბი მოვანხე. მხარზე გავიღე და გზას გავუდექი. მაგრამ აი საკვირველება! — ბათოს გვაში არ დამხვდა იქ, სადაც მივატოვე. მიწაზე მხოლოდ გამხმარი სისხლი შევამჩნიე.

ვერ მიმხვდარიყავი, ასე უკვალოდ რას უნდა გაექრო ჩემი ბათო. არც ერთი ჯაგნარი და ეკალ-ბარდი არ დამიტოვებია, მაინც ვერსად მივაგენი. დავლონდი, ძალიან დავლონდი. მკვდარი მაინც დამხვედროდა, მიწას მაინც მივაბარებდი და იქნებ გულზე ცოტა მომშვეებოდა. ბარ-ნიჩაბი ავიღე და შინისაკენ გამოვწვიე.

სახლს რომ მოვუახლოვდი, დედაჩემის კვილი გავიგონე, მას მამაჩემის ბოხი ხმა ენაცვლებოდა. მერე გავიგე, დილით დედაჩემს ლოგინში რომ არ დავხვედრივარ, გული ღამის გახეთქვია, არც მამაჩემს დასდგომია კარგი დღე... მერე, კედელზე ჩამოკიდებული თოფი რომ უნახავთ. ცოტათი დამშვიდებულან, მაგრამ ვერსად რომ ვერ მიპოვნეს და ძახილზეც არ გავეცი ხმა, ერთი ალიაქოთი აუტეხიათ.

მერე მეზობლებსაც გაუგიათ ჩემი გაუჩინარების ამბავი და ერთი ორომტრიალი შექმნილა.

მე კი, აბა, რა ვიცოდი ყველაფერი ეს. გავჩერდი. ხმები მატულობდა, ძლიერდებოდა. „გვი; გვივით!“ ძახლდა რამდენიმე ხმა ერთად.

— აქა ვარ! — ვიყვირე და გავიქეცი. არ ვიცი, შიშის ბრალი თუ იყო, ხმაც ჩამიწყდა და მუხლშიც ძალა გამომელია.

მომცვიდნენ აქეთ-იქიდან. ისე გახარებულები იყვნენ, სალ-სალამათი რომ დამინახეს, ერთი საყვედურიც არ წამოცდენიათ. ბიძია ღომენტომ მკერდზე მიმიკრა და მითხრა, თუ საუკეთესო მონადირე ძაღლი არ გიყიდა, კაცი არ ვიყო.

დედაჩემი კი ერთხანს ვერ გააჩერეს, ტირილი და სიცილი ერთმანეთში არეოდა...

იმ დღეს სკოლაში არ წავიდი. ვიცოდი, იქ უკვე ყველაფერი ეცოდინებოდათ. მე კი ისეთ გუნებაზე ვიყავი. უბრალო ხუმრობასაც ვერ ავიტანდი, შეიძლება ვინმე კარგი ამხანაგისთვისაც კი მეწყენინებინა.

ყველანი რომ წავიდ-წამოვიდნენ, მამაჩემმა გვერდით მომისვა.

— ბათოს დასამარხავად იყავი წასული? — მკითხა.

# იქნოს თუ აკა უნდა შეიძლება მოხვიან მხაჯან?

ირაკლი  
ჯანელიძე

— ჰო-მეთქი, მივუგე, — მაგრამ ბათო იქ არ დამხვდა, მიწამ ჩაყლაპა თუ ცამ, ვერ გავიგე.

— აბა, სად უნდა გამქრალიყო, ბიჭო?

— რა ვიცი, მე შენთვის მინდოდა შეკითხა.

მამაჩემი ჩაფიქრდა, მერე თქვა:

— რა ვიცი, შვილო, შეიძლება ნადირმა წაიღო, შეიძლება უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და სადმე გადაინაცვლა.

— რომ მცოდნოდა, ასე ძალიან მიყვარდა, არ მოვკლავდი, ოქროს გალიას გავუყვებდი და რაც ამ ქვეყანაზე წიწილებია ყველას შიგ შევუყრიდი.

მამაჩემს ვაღიმა.

— რას ამბობ, გივი, ამის თქმა არ გეკადრება: უღირსისა და მავნეს სიყვარული როგორ იქნება! ვაჟაკმა სიყვარულიც უნდა იცოდეს და სიძულვილიც. ღირსეული უნდა შეიყვარო, უღირსი, სინდისგარეცხილი, გამოუსწორებელი კი უნდა შეიძულო.

ცოტა ხნის მერე დაუმატა:

— არ მინდოდა ჯერ მეთქვა, შემეცოდე, ცეცხლზე ნავთს დავუსხამ და გულს ვატყენ-მეთქი, მაგრამ მაინც უნდა გითხრა. აბა თქვი, ვინ მოკლა ბათო?

— მე მოვკალი შენ ხომ იცი!

— თოფით მოკვლაზე არ გეუბნები. სასიკვდილო ვინ გახადა?

— ვინ გახადა? — ვიყვირე მე. — თვითონ გახდა, სხვამ ვინ გახადა?

— არა, შვილო, შენ გახადე...

— მე რატომ?! — გაოცებული მივაჩერდი მამაჩემს.

— რატომ? გეტყვი. აბა დაფიქრდი. ბათოს პირველი ნაბული გახსოვს?

— მახსოვს.

— პირველი ნაბული, პირველი გასროლა, პირველი ნანადირევი. ნანადირევს ბათომ შეჭმა მოუნდომა. შენ წაართვი. მერე არ გამოდგებაო, იფიქრე და მწყერი ძალს მიუგდე. მანაც ფრინველს გემო გაუგო. მერე ველარ მოიშალა. წიწილაც მწყერი ეგონა, მივარდა და ჩასანსლა... თავში რომ შეცდომა მოგივიდა, ბოლოს გაგამწარა...

მივხვდი, ყველაფერს მივხვდი. თავი ჩავლუნე და ფიქრებს ვაყვიცი...



მოგვჩაბით, რომელი ისტორიული ძეგლია ამ ფოტოსურათზე გამოსახული. სად მდებარეობს იგი, როდის არის აგებული და რა როლი ითამაშა მან საპარტიველოს ისტორიაში.

## კასუხი მე-ნ ნომერში მთავსებულ კითხვებზე

საქართველოს

საქართველოს უძველეს კულტურის მრავალ თვალსაჩინო ძეგლებს შორის დღემდე შემორჩენილია არა ერთი და ორი ციხე-სიმაგრე, რომლებიც ყურადღებას იქცევენ თავიანთი ნაგებობათა სიდიდით და სიდიადით. მათ შესწავლას, ისევე როგორც საერთოდ მატერიალური კულტურის სხვა ძეგლების შესწავლას, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულისა და საზოგადოდ, კაცობრიობის კულტურული განვითარების ისტორიის ნათელსაყოფად. ამიტომ მათი დაცვა სახელმწიფოებრივ საქმედ არის მიჩნეული და საერთო-სახალხო მოვალეობად არის აღიარებული.

მიუხედავად ამისა, დღეს დღეობით მათი უმეტესობა მთლიანად არ არის შესწავლილი, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ეს ძეგლები აგებულია მიუვალ ადგილებში და წარმოადგენენ გოლიათურ ნაგებობებს. ამასთან ერთად, ქართველი ხალხის ძველმა გაუთავებელმა ომებმა უცხოელ დამპყრობლებთან და უამ-



თა სვლამ თავისი დალი დაამჩნია, დაანგრია ეს ნაგებობები, ხოლო შემდგომმა შეკეთებამ კი პირვანდესი სახე გადაფარა.

სწორედ ასეთ ციხე-სიმაგრეთა რიცხვს ეკუთვნის ხერთვისის ძლიერი და მიუვალი, თავის დროზე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრე. იგი არტაანისა და ჭავჭავთის მტკვრის შესართავთან, მაღალ ფრიალო კლდეზეა აღმართული, თითქოს ჭავჭავთ-სამცხისაკენ მიმავალ ხეობებს დარაჯობს! მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან დანგრეულია, თავისი გორიანი ქონგურებითა და გალავნების ცხოველხატულობით მნახველზე მაინც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

ხერთვისის შესახებ ძლიერ ძუნწ ცნობებს ლეონტი მროველის თხზულებაში ვხვდებით („ცხოვრება მეფეთა“). მის მიერ ჩამოთვლილ ციხე-ქალაქებს შორის, რომელიც ალექსანდრე მაკედონელს საქართველოში ლაშქრობისას დახვედრია უფლისციხესთან, ციხე დიდთან, კასპთან... ხერთვისიც არის დასახელებული, როგორც მტკვარზე აგებული ციხე. ალექსანდრე მაკედონელმა — ვკითხულობთ თხზულებაში — „პოვნა

ციხე-ქალაქნი ესე ძლიერი შუა ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკვრისა...“ ისე გამოდის, რომ თითქოს არსებობდა არა მტკვრის, ესე იგი სხვა ხერთვისებიც. ეს კი იმას გვაფიქრებინებს, რომ „ხერთვისი“ განსაკუთრებული ადგილის სახელი ყოფილა და შემდგომ იქ აგებულ ციხე-სიმაგრესაც ადგილის სახელი დარქმევია. ცნობილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი აკაკი შანიძე დაინტერესდა ამ სიტყვით, სათანადოდ გამოიკვლია და დაადგინა, რომ „ხერთვისი“ წყლების შესართავთან მდებარე ადგილია, ნახევარ კუნძული, ან კუნძული. სიტყვა „ხერთვის“ დღევანდელი შესატყვისი „ერთვის“ ისტორიულად „ხერთვის“ ფორმისაგან მომდინარეობს. ხერთვისი დიალექტური, ხანმეტური ფორმაა, ზაე, და ხანი მესამე პირის ობიექტური ნიშნებია, ურთიერთ ბგერათა შესატყვისი.

როდის აიგო ხერთვისის ეს დიდებული ციხე, ზუსტად ამის თქმა ძნელია, მაგრამ ერთი კი ცხადია, იგი ადრეფეოდალურ და უფრო ძველ ხანაშიც უკვე უნდა არსებულიყო. ამაზე მიუთითებს ერთის მხრივ, ლეონტი მროველის თხზულებაში

დაცული ზემოთ ხსენებული ცნობა, ციხე-სიმაგრის სიძველეზე მიგვანიშნებს თვით სახელწოდებაც „ხერთვისი“. ამასვე გვიმოწმებს ამ ციხის შესავალი კარის თავზე ოდესღაც არსებული წარწერა, რომელიც დიუბუასეულ ფოტოზე ჯერ მარი ბროსეს, ხოლო შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილს ამოუკითხავს. წარწერაში აღნიშნული ყოფილა 1356 წელი. საყურადღებოა ხერთვისის ციხის ტერიტორიაზე არსებული ტაძრის წარწერაც, რომელიც დიმიტრი ბაქრაძის ცნობით ასე იკითხებოდა: „მეფეთა მეფე... და ქორონიკონი 205 ანუ 985 წელი. სამწუხაროდ ორივე წარწერა დაკარგულია.

ციხე-სიმაგრეები სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილზე შენდებოდა და დანგრევის შემდეგ იქვე ალაღმუნდნენ ხოლმე. ამდენად სავარაუდებელია, რომ ხერთვისის ციხის არქეოლოგიური შესწავლით დადგინდება მისი აღდგენა-გადაკეთებათა ფენები ცალკეული პერიოდების მიხედვით.

№ 6-ში დასმულ კითხვებზე სწორი პასუხი გამოგვანა ახალქალაქის რაიონის, სოფ. კოთელის საშ. სკოლის მოხსენებელმა, ნოღარელი ზ. ბ. ა. შ. ვ. ი. მ. ა.





მოფლიო კულტურის ისტორიაში აღორძინების ანუ რენესანსის ხანას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი მოიცავს დასრულებით XV-XVI საუკუნეებს. დროის ამ მონაკვეთში ვფრანგის მიწინავე ხალხთა ისტორიაში მიხედვით აღიქვამენ როგორც "გადგარბობას" (ქრულსი). ძველმა ხელოვნებმა დაუღწეველად დასრულდა და ახალი ეპოქის დასაწყისი გახდა.

სახელოვან რენესანსი (ფრანგული სიტყვა, რომლის აღორძინებას სრულად არ ასახავს ამ ეპოქის არს. მასში იგულისხმება ანტიკური ქვეყნების კულტურის აღორძინება-განახლება. მითხვად, ამ ხანაში განსაკუთრებით გაყოფილდა ინტერესი ძველი საბერძნეთისა და რომისადმი. ამ დროის მიწინავე აღმზარებელი დიდი გულისხმობითა და მოწოდებით სწავლობდნენ ანტიკური ქვეყნების ისტორიას, მათს სიძველეს, განსაკუთრებით კი-ხელოვნ-

ბის ბრწყინვალე ნიმუშებს, და ამ ცოდნას ფაქტობრივად იყენებდნენ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში; მაგრამ, ბუნებრივია, რომ ანტიკური კულტურის სრული აღორძინება არ მოხდა (ასეთი რამ, საერთოდ, შეუძლებელია). რადგან რენესანსი იყო ახალ სოციალ-ეკონომიკურ-უთითობათა-კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვის ეპოქა, რომელმაც ახალი, კუმანისტური იდეებით გამსჭვალული კულტურა შექმნა.

რენესანსული კულტურა ჩაისახა ფეოდალიზმის წიაღში და შესაბამისი კულტურის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ჩაითავსებდა. მნიშვნელოვან და მხატვრულ პროგრესში დაიწყო ხელოვნება. პრაქტიკულად იქნა პრაქტიკული ცვლილების თითქმის ათასწორწილი დიქტატურა. დიდ წარმატებებს მიაღწია მეცნიერების ცალკეულმა დარგებმა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებულ ადგილი და-

იკავა ხელოვნებამ. რენესანსის, როგორც გაყოფილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპოქის სახე სწორად ამ ხანის ხელოვნებამ განსაზღვრა.

აღორძინების ხანის ხელოვნება რელიგიური იყო. ხოლო მხატვრულ პრაქტიკაში ხორცშესხმულ და ცხად თეორიულ პროგრესზე დაფუძნებულ რეალიზმს მარტივ თავისი ეპოქისათვის კი არ ჰქონდა მნიშვნელობა, არამედ-ფორმული მხატვრული აზროვნების განვითარების ხელში შეზღვიდნობილი ისტორიისთვის.

ფეოდალური ულასაგან განთავსებულ რენესანსში წარმოიშვა ცოცხელი ინტელექტი ადამიანის, მისი გარეგნული სახის და სულიერი სამყაროს მიმართ. შესაბამისი სიმბოლიზმისა და პირბოლიზმის ნაცვლად ხელოვნებაში დამკვიდრდა ცხოვრებისეული, ცოცხალი და რთული სახე ახალი ეპოქის ადამიანისა. თუ წინა

ხელოვნება მთლიანად სარწმუნოების სამსახურში იყო ჩაყვანილი, ახლა იგი „მკვეთრად“, „მიწვევით“ გახდა.

აღორძინების ხანის ხელოვნების განვითარების ისტორიაში ორი ძირითადი პერიოდი გამოიყოფა: ადრეული რენესანსი (XV საუკუნე, ანუ ვიტორიანული) და მალედი რენესანსი (XVI საუკუნე, ანუ მიკელანჯელო). მათ წინ უწევს ე.წ. პროტორენესანსი — ხანა, როდესაც პირველი ნაბიჯები იქნა გადადგმული რეალისტური და კუმანისტური ხელოვნების ენაზე. XVI საუკუნის შორეულ ნახევარში კი დიდი რენესანსული ხელოვნების წიაღშივე აღმოცენდა ახალი მიმართულება, რომელიც ბაროკოს სახელწოდებით არის ცნობილი.

რენესანსული კულტურის სამშობლო იტალია იყო, სადაც ჩაისახა ახალი კუმანისტური იდეოლოგია და, სადაც აღორძინების ხანის მხატვ-

რული პრინციპები ვეცავენ სრულყოფილად გამოვლენას მისი საუკუნეში, უკრძალავს ყოველსა და ბუნებრივად მათგან გამომდინარე ნიშნობით ურთიერთობას, რომელიც ვფრანგულ ქვეყნებში ვეცავენ ადრე იტალიაში ჩამოყალიბდა, და ის უნდა იყოს ერთიანი მნიშვნელობა, რომელიც იტალიამ ანტიკური რომისაგან მიიღო. იტალიაში ხომ დღესაც ძველი რომის დიდებულ ხელოვნების უამრავი ნაშთია. იტალიელი სწავლულების, სეროტიმენტების, მხატვრების მიერ ანტიკური მემკვიდრეობით დაზრუნვება და მისი ათვისება საშუალება მისცა მათ, თავიანთი ახალი კუმანისტური იდეისათვის სათანადო ფორმა გამოეძინათ.

ინდივიდუელი იტალიის ცენტრებში ხელოვნების გატაცება საერთო-სახალხო მოვლედ იქცა. საზოგადოებრივ ნაფიქრობათა მხრებში, ქალაქების კეთილმოწყობ-

# საქართველოს ხანის ხელოვნება




ბაგრატიონთა, სანაბაგრატიონთა დიდ სასახლე-პალატი. (სურათიდან).

ბაგრატიონთა, კახელთა პალატი (სურათიდან).



პალატი ვიძი (სურათიდან).  
ლეთის ბაგრატიონთა პალატი (სურათიდან).  
ბაგრატიონთა, ბიჭვინთის (არხი).





ბით, მონუმენტების აღმართვით ხალხის ფართო ფენებიც დაინტერესდნენ. ხელოვნების ყოველი მაღალმხატვრული ნიმუშის შექმნა საზოგადოებრივ ცხოვრებაში უდიდეს მოვლენად ითვლებოდა. სახელგანთქმულ ხელოვანთ ყველა თაყვანს სცემდა, ამის ერთ-ერთი გამოხატულება ისიც იყო, რომ ამ ეპოქის გენიოს შემოქმედთ-ლეონარდო და ვინჩის, რაფაელს და მიქელანჯელოს თანამედროვეებმა „ლეთიურნი“ უწოდეს. ამასთან, რენესანსი იყო ეპოქა, როდესაც ხელოვნებაში გამოჩნდნენ მრავალმხრივი ინტერესებისა და შესაძლებლობათა მქონე ადამიანები, რომლებიც ყველაფერს ეწაფებოდნენ და ყველაფერზე მიუწვდებოდნენ ხელი. თუ ვინმე ხუროთმოძღვრობით გაითქვამდა სახელს, იგი მხატვარიც იყო, მოქანდაკეც და ხელოვნების თეორეტიკოსიც. ამიერიდან ხელოვნება ცოდნას გაუტოლდა და მეცნიერებას დაემყარა.

აღორძინების ხანის იტალიის ხუროთმოძღვრება სამშენებლო ხელოვნების განვითარების ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპთაგანია. ამ დროის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ძვრები ახალ ფორმასა და შინაარსს ანიჭებდა არქიტექტურას. წარმოიშვა ნაგებობათა მრავალი ახალი ტიპი. აღორძინდა ანტიკურ სამყაროში ცნობილი და ფეოდალიზმის ხანაში მივიწყებული სხვადასხვა სახის შენობები (მაგალითად, თეატრები). წინა ხანისაგან განსხვავებით, როცა ძირითადი ყურადღება ეკლესიებისა და ციხე-სიმაგრეების მშენებლობას ეთმობოდა, ამ დროის ხუროთმოძღვრების მთავარ თემად სასახლე (პალაცო) და ვილა იქცა. სწორედ მათში გამოვლინდა ეპოქის უმნიშვნელოვანესი მხატვრული მიღწევები. ამ ტიპის ნაგებობები ყველაზე მეტად შეესატყვისებოდა ბურჟუაზიის — იმ დროისათვის მოწინავე კლასის მოთხოვნილებებს, მის ჰუმანისტურ მსოფლმხედველობას და ბუნების წიაღისაგან მისწრაფებას, რაც ერთგვარი რეაქცია იყო ფეოდალური კარჩაკეტილობის წინააღმდეგ.

გაჩნდა სასახლეთა უამრავი ვარიანტი. დიდი პარადული და შედარებით მცირე ზომის, მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფილი ნაგებობები, ბაღებითა და პარკებით გარშემორტყმული, მწვანეში ჩაფლული დიდებული ვილები და პატარა, მაგრამ მხატვრულად გააზრებული

სასოფლო საგანგებები. ნაგებობათა ეს ტიპები აღორძინების ხანის მთელმანძილზე ვითარდებოდა და სახეს იცვლიდა ეპოქის ეტაპების შესატყვისად.

ასლებურად იქნა გააზრებული ტრადიციული თემატიკაც: საკულტო ნაგებობების — ეკლესიებისა და ტაძრების მშენებლობაში დამკვიდრდა კომპოზიციური სიცხადე, ხუროთმოძღვრული ფორმების ჰარმონიული ურთიერთშესატყვისობა, მონუმენტურობა.

აღორძინების ხანის ხუროთმოძღვრული სტილის ძირითადი ნიშნები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ნაგებობის გეგმისა და კომპოზიციის მკაცრი სიმეტრიულობა და ფასადებზე კარ-ფანჯრების, სვეტებისა და პილასტრების (კედლის სვეტების), სკულპტურული და დეკორაციული ელემენტების ერთმანეთის შორის თანაბარი ინტერვალებით განაწილება. ყოველივე ეს ნაგებობას მარტივს, მკაფიოს და ჰარმონიულს ხდიდა.

რენესანსული იდეები თავდაპირველად ლიტერატურასა და ფერწერაში გამოვლინდა. XIII-XIV საუკუნეების დიდ იტალიელ შემოქმედთა-პოეტს და მხატვარ ჯოტოს ნაწარმოებებში რეალიზმის ნიშნები თვალნათლივ შეიმჩნევა. არქიტექტურის სფეროში კი ამ დროს ბრძოლა მიმდინარეობს მოძალებული გუთური და ბიზანტიური ტრადიციების წინააღმდეგ. ხუროთმოძღვრებაში აღორძინების ხანა რამდენადმე მოგვიანებით დაიწყო, 1420 წლის ახლო ხანებში, როცა იტალიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრის-ფლორენციის თვითმმართველობამ გადაწყვიტა მანამდე დაუმთავრებლად მდგარი ქალაქის საკრებულო ტაძარი — სანტა მარია დელ ფიორე გუმბათით დაეგვირგვინებინა.

ამ დროს ფლორენცია ჩრდილო იტალიის, ანუ ტოსკანის, ქალაქებს შორის ყველაზე დაწინაურებული იყო. XIV-XV სს. იგი დამოუკიდებელი ქალაქი იყო და იქ დიდი კულტურული აღმავლობა სუფევდა. რენესანსული ხელოვნების პირველი მძლავრი აღმავლობა სწორედ ფლორენციაში მოხდა და ხუროთმოძღვარ ბრუნელესკოს, მოქანდაკე ღონატელოს და მხატვარ მაზაჩოს სახელებთან არის დაკავშირებული.


ფილიპო ბრუნელესკოს (1377-1446) შემოქმედებამ საფუძველი დაუდო აღორძინების ხანის ხუროთ-

მოძღვრებას. იგი ფლორენციელი იყო, ნოტარიუსის შვილი. თავდაპირველად თქრომჭედლობასა და ქანდაკებას სწავლობდა, შემდეგ არქიტექტურამ გაიტაცა და ანტიკური ძეგლების გასაცნობად რომში წავიდა. იქიდან დაბრუნებულმა მონაწილეობა მიიღო ფლორენციის სანტა მარია დელ ფიორეს გუმბათის მშენებლობის თაობაზე გამოცხადებულ კონკურსში და გაიმარჯვა. ეს მანამდე არნახული გუმბათი იყო (მისი დიამეტრი 42 მეტრს უდრიდა), რომლის აგება დიდ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას მოითხოვდა. ბრუნელესკო თვითონ ხელმძღვანელობდა მშენებლობას, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრო. გუმბათი მისი სიკვდილის შემდეგ დაამთავრეს.

ბრუნელესკომ ფლორენციაში რამდენიმე ტაძარი და სამლოცველო ააგო. მათ შორის გამოირჩევა პაცის კაპელა-ადრეული რენესანსის ერთ-ერთი უმშვენიერესი ნაგებობა, რომლის მხატვრული გამომსახველობის უნარი დაფუძნებულია არქიტექტურული ფორმების ჰარმონიულობაზე. კომპოზიციური და კონსტრუქციული სიცხადე ახასიათებს უპატრონო ბავშვთა თავშესაფრის შენობას. აქ ხუროთმოძღვარმა პირველად გამოიყენა შუასაუკუნეებისათვის უცნობი არქიტექტურული სისტემა-ორდერი, რომელიც შემდგომში აღორძინების ხანის ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანეს კომპონენტად იქცა.

ბრუნელესკო თეორიულ ძიებასაც ეწეოდა. მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის პერსპექტივის კანონების დადგენაში. ხუროთმოძღვრული ნაგებობის ცალკეული ნაწილების ლოგიკური პროპორციული ურთიერთშესატყვისობა, რომელიც მან მათემატიკური პერსპექტივის კანონებზე დააფუძნა, არქიტექტურულ ორგანიზმს კონსტრუქციულ სიცხადეს ანიჭებს. ბრუნელესკოდან მოყოლებული იტალიელი ხუროთმოძღვრები ქმნიან ძეგლებს, რომლებიც მასშტაბებით ადამიანის განზომილებებს უახლოვდებიან, ადამიანზე ორიენტირებული. ეს არქიტექტურაში რენესანსული ჰუმანიზმის ერთ-ერთი გამოვლინება იყო.

XV ს. ოცდაათიან წლებში ფლორენციაში ძალაუფლება მედიჩების მდიდარმა გვარმა იგდო ხელთ. კოზიმო მედიჩი ქალაქის თითქმის ერთპიროვნული მმართველი გახდა. იმისათვის, რომ მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის საარსებო საშუა-



სანსოვინო, სან-მარკოს ბიბლიოთეკა (ვენეცია).

ლება მიეცა და ამით ისინი თავის მხარეზე გადმოებირებინა, მედიჩიმ დიდი სამშენებლო საქმიანობა წამოიწყო: ააშენა რამდენიმე საზოგადოებრივი ნაგებობა და 1444 წ. თავისი საკუთარი სასახლის (პალაცო მედიჩი) მშენებლობას შეუდგა. სასახლის პროექტის ავტორი იყო ბრუნელესკოს მოწაფე მიკელანჯელო დი ბარტოლომეო.

იმხანად საერო ნაგებობათა მშენებლობის პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ იყო დაძლეული ფეოდალური ციხე-სიმაგრეებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. პალაცო მედიჩისა, შუასაუკუნეების სასახლეების მსგავსად, მკაცრი გარეგნული იერი აქვს, მაგრამ მისი გვეზარების კომპოზიციური სიცხადე, სიგრცობრივი მასშტაბურობა, მკაფიო არქიტექტურული დეტალები და, რაც მთავარია, ცოცხალი და ხალისიანი შინაგანი ორგანიზმი ახალი ეპოქის სულისკვეთებასა და მისწრაფებებს შეესატყვისება.

1458 წ. დაიწყო ფლორენციის ყველაზე გრანდიოზული და დიდებული სასახლის — პალაცო პიტის მშენებლობა. მასში შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც იგრძნობა შუასაუკუნეობრივი სიმკაცრე და კარჩაკეტილობა. მისი ავტორი არ არის ცნობილი, მაგრამ მას ხშირად ალბერტის ნაწარმოებად მიიჩნევენ.

ლ ე ო ნ ბ ა ტ ი ს ტ ა ა ლ ბ ე რ - ტ ი (1404-1472), დიდი ჰუმანის-

ტი და სწავლული (ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი), ხელოვნების თეორეტიკოსი და არქიტექტორი იყო. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რენესანსული ხელოვნების თითქმის ყველა დარგის განვითარებაში. მისი თხზულება — „ათი წიგნი ხუროთმოძღვრების შესახებ“ არქიტექტურისადმი მიძღვნილი პირველი ტრაქტატია რომაელი ვიტრუვიუსის ანალოგიური ხასიათის ნაშრომის შემდეგ. ალბერტიმ შექმნა არქიტექტურის ახალი თეორია, რომელსაც საფუძვლად დაუდო საზოგადოებრივი მოთხოვნების შესატყვისი პრაქტიკული ამოცანები.

ალბერტის პროექტით ფლორენციაში აშენებულ ნაგებობათა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა პალაცო რუჩელაი. აქ, ალორძინების ეპოქაში პირველად, სასახლის სამივე სართული სხვადასხვა ორდერული სისტემით არის გაფორმებული. ალბერტის ეკუთვნის სხვა მრავალი ნაგებობაც, როგორც ფლორენციაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მისი შემოქმედება კიდევ ერთი მძლავრი ნაბიჯი იყო საერთოდ ხელოვნებაში და კერძოდ ხუროთმოძღვრებაში, შუასაუკუნეების ტრადიციების დაძლევისა და ახალი იდეების დამკვიდრების გზაზე.

XV ს. ბოლო წლებში ფლორენციაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური პირობების შედე-

გად, სამშენებლო საქმიანობა შემცირდა. შეწყდა დიდი საზოგადოებრივი ნაგებობებისა და სასახლეების მშენებლობა. ბევრი ფლორენციელი ოსტატი, რაკი თავის სამშობლო ქალაქში ვეღარ შოულობდა სამუშაოს, იძულებული იყო იტალიის სხვა ქალაქებში გადასულიყო და იქ განეგრძო მოღვაწეობა.

XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე ალორძინების ჰუმანისტური იდეები მთელ იტალიას მოედო და გასცდა კიდევ მის ფარგლებს. რომში, ვენეციაში, მილანში და იტალიის სხვა ქალაქებში, სადაც რენესანსულმა ტრადიციებმა შედარებით გვიან მოიკიდა ფეხი, მხატვრულმა კულტურამ ამ დროს განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია. დაიწყო ხელოვნების ისტორიაში უდიდესი აღმავლობის ხანა, ალორძინების ეპოქის კლასიკური პერიოდი, ანუ მაღალი რენესანსი. კვატროცენტოსაგან განსხვავებით, რომელიც ერთგვარად ფაქტების დაგროვების, უშუალო და ზოგჯერ გულუბრყვილო რეალიზმის ხანა იყო, მაღალი რენესანსი ღრმა ანალიზისა და სინთეზის ეპოქაა. ისევე, როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა სფეროში, არქიტექტურაშიც ახალი ამოცანები ისახება. ამ დროის ნაგებობებს ახასიათებს მხატვრული ჩანაფიქრის მთლიანობა, მკაცრი კანონზომიერება, მონუმენტურობა და დიდი მასშტაბები.

ხელოვნებაში მოვიდა შემოქმედთა მთელი პლეადა: ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი, მიქელანჯელო, ბრამანტე, ჯორჯონე, ტიციანი და მრავალი სხვა, რომელთა სახელები საყოველთაოდ არის ცნობილი. „ეს ისეთი დრო იყო, რომელსაც ბუმბერაზები ესაჭიროებოდა და, რომელმაც ბუმბერაზები წარმოშვა — ბუმბერაზები აზრის სიძლიერით და ხასიათით, მრავალმხრივობით და განსწავლულობით“ (ენგელსი).

გენიალური მხატვარი, მოქანდაკე, სწავლული — ლეონარდო და ვინჩი (1452-1519) ხუროთმოძღვარი იყო. მას ეკუთვნის უამრავი არქიტექტურული და საინჟინრო ნაგებობის პროექტი და ესკიზი. ქ. მილანისა (სადაც იგი XV ს. ბოლო წლებში ცხოვრობდა), ტადრებისა, სასახლეებისა, ციხე-სიმაგრეებისა და სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობებისა. ლეონარდოს იდეებმა, ისევე, როგორც ცოლნის ყველა დარგში, ხუროთმოძღვრებაშიც დიდად გაუსწრეს თავის ეპოქას.

**რაფაელ სანტი** (1483-1520) მანამდე არნახული მასშტაბებისა და მაღალი მხატვრული ღირსებების მქონე ფერწერული ნამუშევრების პარალელურად სუროთმოდერულ ნაგებობებსაც ქმნიდა, რომლებიც შემოქმედებითი ნოვატორობით გამოირჩევა. მათ შორის აღსანიშნავია ვილა მადამა, პალაცო დელ აკვილა, პალაცო პანდოლფინი. მასვე მიაკუთვნებენ აგრეთვე მაღალი რენესანსის ერთ-ერთ უმშვენიერეს ნაგებობას რომში — ვილა ფარნეზინას.

**მიქელანჯელო ბუონაროტი** (1475-1564) მოქანდაკე, მხატვარი, პოეტი, ჭეშმარიტად ტიტანური მასშტაბის შემოქმედი, თავისი სუროთმოდერული ნაწარმოებებითაც ახალ სიტყვას ამბობს ხელოვნებაში. რომის პაპის იულიუს II აკლდამის პროექტი და კაპელა მედიჩი (ფლორენციაში) ხელოვნების სხვადასხვა დარგების — არქიტო

**ტოდანჯელო ბრამანტი** (1444-1514). იგი თავდაპირველად მხატვრად მუშაობდა, შემდეგ კი სუროთმოდერებას მიჰყო ხელი და ქალაქ მილანში რამდენიმე შესანიშნავი ნაგებობა ააშენა. 1499 წ. ბრამანტი რომში გადასახლდა. აქედან იწყება მისი მოღვაწეობის ახალი, დიდი პერიოდი.

რომი მაღალი რენესანსის უმთავრესი ცენტრი იყო. XVI ს. პირველ ათეულ წლებში აქ ფართო სამშენებლო საქმიანობა გაიშალა. რომის პაპმა, რომელიც ქრისტიანული მსოფლიოს მეთაურობაზე აცხადებდა პრეტენზიას, თავისი რეზიდენციისათვის სათანადო სიდიდით რომ მიეცა, იტალიის თითქმის ყველა სახელგანთქმული ოსტატი რომში მიიზიდა.


რომში ჩასული ბრამანტი კარგა ხანს ანტიკურ ძეგლებს სწავლობდა. 1500 წ. მან დაიწყო სანტა მარია დალა პაჩეს მონასტრის ეზოს მშენებლობა. ეს მაღალი რენესანსის

ბრამანტეს უმთავრესი ნაწარმოებებია ვატიკანის სასახლის რეკონსტრუქცია და წმინდა პეტრეს ტაძარი. ეს უკანასკნელი ქრისტიანული ხანის რომის უძველესი ნაგებობა იყო. XV ს. იგი დაინგრა. მაშინვე სცადეს მისი აღდგენა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და, ბრამანტეს ტაძრის მშენებლობის დაწყება თითქმის თავიდან მოუხდა.

ბრამანტეს პროექტით, ტაძარი გრანდიოზული ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობა უნდა ყოფილიყო, რომლის ცალკეული ნაწილების პარმონიული ურთიერთშესატყვისობა ერთ მთლიან, მონუმენტურ ორგანიზმს ქმნიდა. ტაძრის პროექტი ერთგვარი შეჯამება იყო აღორძინების ხანის მშენებელთა და თეორეტიკოსთა სუროთმოდერული ძიებებისა. მაგრამ დიდი სუროთმოდერის ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა; ბრამანტი იმ დროს გარდაიცვალა, როცა ტაძრის მშენებლობა მხოლოდ დაწყებული იყო.

წმინდა პეტრეს ტაძარი თითქმის ორი საუკუნის მანძილზე შენდებოდა. ბრამანტეს შემდეგ მრავალჯერ შეიცვალა მისი პროექტი და მრავალი სახელგანთქმული სუროთმოდერული ხელმძღვანელობდა მის მშენებლობას: რაფაელი, ბალტაზარე პეტრუცი, ანტონიო და სანგალო (უმცროსი); დაამთავრა მიქელანჯელომ; ხოლო XVII ს. დიდმა მოქანდაკემ, ბერნინიმ, მას წინ უზარმაზარი კოლონადა მიუშენა. დღევანდელი სახით წმ. პეტრეს ტაძარი ბაროკოს ხანის ნაწარმოებია. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობაა.

აღორძინების ხანის სუროთმოდერებას ბევრი რამ ახალი შეჰმატა ვენეციის სკოლამ, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ჯაკოპო სანსოვინო (1486-1570). იგი ფლორენციაში დაიბადა. დიდხანს მუშაობდა რომში, ხოლო შემდეგ ვენეციაში გადავიდა. აქ მან ღრმად შეითვისა ვენეციის სუროთმოდერებისათვის ტრადიციული ცხოველხატულობა, სიმსუბუქე, ხალისიანობა და ყოველივე ეს მაღალი რენესანსისათვის დამახასიათებელ ფორმებში გამოხატა. მან ვენეციის ცენტრი — სან-მარკოს მოედანი ქაოტური განაშენებისგან გაათავისუფლა და იქ მდგარი დოჟების სასახლის საპირისპირო მხარეს ააშენა თავისი ერთ-ერთი უშესანიშნავესი ნაგებობა — სან-მარკოს ბიბლიოთეკა. სანსოვინოს ეკუთვნის მრავალი სხვა ნაგებობა, როგორც



პალადიო, ვილა როტონდა (ვიჩენცო)

ტექტურის, ქანდაკებასა და ფერწერის სინთეზის სამაგალითო ნიმუშებია. მიქელანჯელო შედარებით ბევრს აშენებდა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როდესაც მის შემოქმედებაში თავი იჩინა ტენდენციებმა, რომლებმაც დიდად შეუწყო ხელი ბაროკოს სტილის ჩამოყალიბებას. მისი ამდროის ნაგებობები ფაქტიურად ბაროკოს ხანას მიეკუთვნება.

მაღალი რენესანსის ყველაზე დიდი სუროთმოდერარი იყო დონა-

ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუშია, სადაც მარტივი და დაქუცმაცებული ფორმებით ნაგებობას პარმონიული და უაღრესად ემოციური სახე აქვს. ბრამანტეს შემოქმედების ამავე პერიოდს ეკუთვნის ტემპიეტო (პატარა ტაძარი) — მრგვალი გუმბათოვანი ნაგებობა, რომელსაც ირგვლივ კოლონადა შემოუყვება. ნაგებობათა ამგვარმა ტიპმა დიდი პოპულარობა მოიპოვა კლასიკურ ხანაში.



## მზის საგალობლად

მინდა ავივსო ამ გაზაფხულის  
ყველა სურნელით და ყველა ფერით,  
მიწის სიმღერით, ზეცის სიმღერით  
და სატიკივარით ბალახის ღერის,—

რომ მზით დამთვრალმა დედამიწაზე  
გაზაფხულების ვლოცო გაჩენა,  
იის სურნელით კვლავ გავიხარო  
და სიმღერების ვიქცე ჩანჩქერად—  
მზის,

სიყვარულის საგალობლად რომ დავიღვარო!

## მე ლერწამი ვარ

მიმღერე, ქარო, ეგ სიმღერა,  
დამღამობით ტყეში რომ მღერი,  
რომ ვისწავლო და მზეს ვუგალობო,—  
მე ლერწამი ვარ,  
სალამურად გამოჰკრას ველი.

## აპრილი

რა ცა ბრიალებს, რა ცა ბრიალებს,  
და რა ფანტელი მეყრება თმებში!..  
კვირტი დამსკდარა, კვირტი დამსკდარა  
და გუგულები მოსულან ტყეში.

როგორ მახარებს, როგორ მახარებს  
თეთრი ქარები ყვავილთა თქეშით,  
და მზე ხარხარებს,  
და მზე ხარხარებს,  
გადარეული აპრილის ეშხით.

## რად დაეგება

ო, რა ტკბილია შენი ქედები,  
შენი ყანები, ველები შენი,  
ყაზბეგის თავზე ღრუბლების გროვა,  
ამაყ გოლიათს ასე რომ შეენის!  
ო, რა ტკბილია შენი სიმღერა,  
ბრძოლის ველზე თუ კალოზე თქმული,  
რად დამეხედა, რად დამეხედა  
მეც შენი ტრფობით მტკენოდა გული?!  
შენი ისრებით ბევრი დაჭრილა,  
მაგრამ მე დღემდე როდი გიცნობდი,  
როდი მეგონა, როდი მეგონა,  
თუ შენ ტკივილიც ტკბილი იცოდი!  
ახლა, მამულო, მე შეველას შეგთხოვ,  
შენი ხორცი და შენივე სისხლი,  
არაგვის ზვირთით წყლული მომბანე  
და შემხვიე მყინვარის ნისლით.

ჯულიეტა შელია,  
წალენჯიხის რაიონი, სოფ. ხაჩინო.

ვენეციაში, ისე იტალიის სხვა ქალა-  
ქებში.

მაღალი რენესანსის ხუროთმოძღ-  
ვართა დიდი პლუადის უკანასკნელ-  
მა წარმომადგენელმა ანდრეა  
პალადიომ (1508-1580) კლასი-  
ციკური ხანის რეალისტურ პრინცი-  
პებზე დაყრდნობით დაამუშავა ახა-  
ლი კომპოზიციური და კონსტრუქ-  
ციული მეთოდები. მისი უმთავრესი  
ნაწარმოებები თავის მშობლიურ ქა-  
ლაქს — ვიჩენცოს ამშვენებს. ესე-  
ნია: პალატო პუბლიკო, პალატო  
ვალმარანა, ვილა როტონდა, თეატ-  
რი „ოლიმპიკო“ და მრავალი სხვა.

პალადიოს აქვს თეორიული ხასი-  
ათის ნაშრომიც — „ოთხი წიგნი  
ხუროთმოძღვრების შესახებ“.

ანდრეა პალადიოს არქიტექტურ-  
ულმა შემკვიდრობამ უდიდესი  
როლი შეასრულა მთელს ევროპაში  
ხუროთმოძღვრული აზროვნების გან-  
ვითარებაში. მის გავლენას განიც-  
დიდა როგორც ფრანგი, ინგლისე-  
ლი, გერმანელი, ისე ბევრი იტალი-  
ელი ხუროთმოძღვარიც.

ალორძინების ხანის რეალისტური  
და ჰუმანისტური ტრადიციები ევ-  
როპის სხვა ქვეყნებში, იტალიას-  
თან შედარებით, გვიან დამკვიდრ-  
და და ყველგან ეროვნულ ტრადიცი-

ებზე დაყრდნობით ვითარდებოდა.  
სამშენებლო ხელოვნება განსაკუთ-  
რებით დაწინაურდა საფრანგეთში.  
XVI ს. შუა წლებში პ. ლესკომ პა-  
რიზში ააგო ცნობილი ლუვრის სა-  
სახლე, რომელიც საფუძვლად და-  
ედო ფრანგული ხუროთმოძღვრების  
მთელ შემდეგდროინდელ განვითარ-  
ებას.

თუმცა ალორძინების ხანაში სამ-  
შენებლო ხელოვნებამ ევროპის სხვა  
ქვეყნებშიც დიდ წარმატებებს მი-  
აღწია, იტალია მაინც დარჩა რენე-  
სანსული არქიტექტურის კლასი-  
კურ ქვეყნად, სადაც XV-XVI საუკუ-  
ნეებში შეიქმნა ხუროთმოძღვრების  
ქუმმარიტი შედევრები.



88 მილიონი  
ქანდაკება

ინდოეთის ქალაქ მადურაიში დგას ტაძარი, რომელსაც ღმერთ შივას ერთ-ერთი მეუღლის პატივსაცემად მინაქშის ეძახიან. ეს ტაძარი მართო ინდოეთისა კი არა, მთელი მსოფლიოს მონუმენტური ხელოვნების ნამდვილი საოცრებაა. იგი 1560-1680 წლებში არის აშენებული, 250 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია და სიმაღლით 52 მეტრს უდრის. მაგრამ მინაქში მხოლოდ სიდიდით როდი ანცვიფრებს მნახველებს. ამ უზარმაზარ ქვის ნაგებობას ღმერთების 33 მილიონი ქანდაკება ამკობს. ყველა ეს ქანდაკება ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები გახლავთ. ყოველ 60 წელიწადში ტაძარს ხელახლა დეზავენ — ამას მოითხოვს ინდოეთის მონუმენტური ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია.

ზოგნი რამ  
პაპირუსზე

ჩვენ მიჩვეული ვართ ქალაქებზე წერას. ყველა თანამედროვე ნაწარმოები ქალაქებზე იბეჭდება, მაგრამ ალბათ ყველამ არ იცის, რომ ათასობით წლების მანძილზე კაცობრიობა საწერად პაპირუსს იყენებდა. უძველესი პაპირუსები ჩვენს წელთაღრიცხვამდე XXV საუკუნით თარიღდება.

პაპირუსი გრავნილად კეთდებოდა და სიგრძით 20 მეტრს აღწევდა. პაპირუსს განსაკუთრებით ფართოდ ეგვიპტელები იყენებდნენ. ეგვიპტიდან იგი საბერძნეთში ჩაიტანეს (VII საუკ. ჩვ. წ.-მდე), მრგვალებით კი რომშიც გამოჩნდა. ძველი ხალხები პაპირუსს ამავე სახელწოდების მცენარისაგან ამზადებდნენ. ჩვენამდე ბევრი პაპირუსი მოღწეულია: ეგვიპტური, ლათინური, ჩინური, არაბული, ებრაული, ქართული და სხვ. უიშვიათესი გრავნილები ინახება ლენინგრადის ერმიტაჟში. ცნობილია მოსკოვის პაპირუსი, სახვითი ხელოვნების ა. ს. პუშკინის სახელმწიფო მუზეუმში დაცული, აგრეთვე რინდის პაპირუსი (ბრიტანეთის მუზეუმში) და სხვა მრავალი.

რეკორდსმანი  
ქალღი

ყველასათვის ცნობილია, რომ ძალიან პატრონის ერთგულია. ისიც ცნობილია, რომ ძალღი მრავალი კილომეტრის სიშორეზეც პოულობს თავის სახლს, მაგრამ ძალღის ერთგულების ყველა რეკორდს გადააჭარბა იტალიელ სკორანოს ნაგაშმა. ამ უკანასკნელმა ოთხ თვეში ათას კილომეტრზე მეტი გაიარა და თავისი პატრონი იპოვნა.

გაზეთი  
მეგობრთაგანისათვის



იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი ტურისტის მიიზიდონ, იტალიის ქალაქ პადუის მესვეურებმა პლასტმასზე დაბეჭდილი გაზეთის გამოშვება დაიწყეს. იტალიელთა ეს წამოწყება საფრანგეთშიც მოეწონათ. „მეგობრთაგანის ხმა“ — ასე ჰქვია ამ გაზეთს. მისი ტირაჟი ათი ათასი ეგზემპლარია. ცხადია, ეს რიცხვი ბევრად აღემატება ადგილობრივ მეგობრთაგანთა რაოდენობას, რომელთაც ახლა შეუძლიათ წყლიდან ამოუსვლელად გაიგონ ხმელეთზე მომხდარი უკანასკნელი ამბები. ულტობი გაზეთის დანარჩენი ტირაჟი წვიმაში კითხვის მოყვარულთათვის არის გათვალისწინებული.

პატარა  
საპარა

პოლონეთში, ქალაქ კრაკოვის ჩრდილოეთით, არის ადგილი, სადაც არც ხე იზრდება, არც ბუჩქები-სა თუ ბალახის ნატამალს წააწყდება კაცის თვალი. და ეს პატარა უდაბნო მთელ ოთხმოდ კილომეტრზეა გადაჭიმული.

დუელი  
თხილამურებით

ვენის უნივერსიტეტის პროფესორი მაიერი ამას წინათ სტუდენტურ გაზეთში უპატივცემულოდ მოხსენიეს. როგორც კი შეიტყო ეს ამბავი, პროფესორმა გაზეთის რედაქტორი დუელში გამოიწვია. მან რედაქტორს შესთავაზა შეხმოლა... თხილამურებით სირბილში. განსაზღვრეს სარბენი მანძილი — 42 კილომეტრი, სწორედ იმდენი, რამდენი წლისაც იყო პროფესორი. დათქვეს, რომ სტარტსა და ფინიშთან ყოფილიყვნენ რედაქტორის კოლეგები და რეპორტიორები, ხოლო სტუდენტთა გაზეთი ორთაბრძოლის დაწვრილებითს შედეგებს და გამარჯვებულის ფოტოსურათს დაბეჭდავდა. რედაქტორი პროფესორზე 16 წლით ახალგაზრდა იყო და მან გამოწვევა უშიშრად მიიღო, თანაც გულში იმედოვნებდა, რომ თავის საძულველ კაცს ერთხელ კიდევ შეარცხვენდა. ფინიშთან პირველი პროფესორი მივიდა, ქანცაწვეტილი რედაქტორი კი ძლივს-ძლივობით მილოდდა. დუელის პირობების თანახმად, ფოტოკორესპონდენტებმა ფირები არ დაიშურეს...





ფოტო  
ს. კობორაშვილისა.



ამასწინათ, მოსკოვში ჩატარდა გაზეთ „პიონერსკაია პრავდასთან“ არსებული მოჭადრაკეთა კლუბის — „თეთრი ეტლის“ საკავშირო შეჯიბრების ფინალი. სულ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა ორმოცდაათი ათასი რაზმეული.

ნორჩ მოჭადრაკეებს ელოდათ დიდი სიურპრიზი — მსოფლიოს ხუთი ჩემპიონის მიერ დაწესებული საგანგებო პრიზები, რომელთაც მიიღებდნენ პირველ სამ ადგილზე გამოსული გუნდები.

და აი, მოსკოვის პიონერთა სასახლეში გამოვლინდნენ ბედნიერი ადგილის მფლობელები. მათ რიცხვ-

ში არიან თბილისის 15-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები: — დ. ჭვართავა, ზ. აზმაიფარაშვილი, (ჭურაბი ოქტომბრელია), მ. წი-

რეთელი, ზ. ზამბახიძე და კ. მაჭარაშვილი, მათ მეორე ადგილი დაიკავეს და ჯილდოდ „თეთრი ეტილი“ დაისაკუთრეს.

## უკუთხედი

— დედიკო, მომეცი სასწრაფოდ ერთი მარკა, კაცს უნდა მივცე, რომელიც ქუჩის კუთხეში დგას და ყვირის. — სთხოვა ოტომ.

— უპ, საწყალი კაცი, რაო რას ყვირის?

— ნაყინი ერთი მარკა ღირსო,  
— მიუგო ოტომ.

შოპენი ბავშვობიდანვე შესანიშნავად უკრავდა პიანინოს. ერთხელ კონცერტიდან დაბრუნების შემდეგ დედამ ჰკითხა:

— კარგად დაუკარი, შვილო?

— კი, დედიკო.

— განსაკუთრებით რა მოეწონა ხალხს?

— ჩემი ახალი საყელო.

ქალბატონი კლუგე თავის მეგობარ ქალთან მივიდა. შინ მხოლოდ პატარა ელზა დახვდა.

— სად არის დედა? — ჰკითხა სტუმარმა.

— ორი საათის წინ, ხუთი წუთით, დეიდა მარიასთან წავიდა, — მიუგო გოგონამ.

კლაუსი ძილში ხვრინავდა, ძმამ გამოადვიდა.

— რატომ გამადვიძე?

— იმიტომ რომ, შენ თვითონ მოისმინო, რა ხმამაღლა ხვრინავს..

ბიჭუნა კბილის ექიმთან იყო. შინ რომ დაბრუნდა, დამ ჰკითხა:

— კბილი ისევ გტკივა?

— აბა, რა ვიცი, კბილი ექიმთან დარჩა, — მიუგო მან.

მამა: — გაშოცდა როგორ ჩაბარე?

ვაჟი შევილი: — კარგად, მამიკო, ჩემს ყოველ პასუხზე მასწავლებელი გაკვირებული იძახდა: ღმერთო ჩემო, საიდან იგონებსო!

— მართალია, მამიკო, რომ დიდი თევზები სარდინს ჭამენ?

— კი, შვილო.

— ნეტავ, ყუთებს როგორღა ხსნიან? — გაკვირდა ყმაწვილს.

გერმანულიდან თარგმნა  
შ. ამირანაშვილმა.

— აბა თუ მეტყვი, ჰანს, სათვე-ზაო ბადეს როგორ ამზადებენ? — ჰკითხა ბიძამ.

— იღებენ ნაწვრეტებს და ერთ-მანეთზე აკერებენ, — მიუგო ჰანსმა ამაყად.

— ისტორიაში „სამის“ მეტი ვერ მიიღე? მე ყოყელთვის „ხუთიანი“ მქონდა ხოლმე, — უსაყვედურა კურტს პაპამ.

— ეპ, პაპაჩემო! მაშინ ისტორია უფრო მოკლე იყო.

— მუდამ ჭუჭყიანი ყურებით რად მოდიხარ სკოლაში, ვალტერ?! — შენიშნა მასწავლებელმა.

— სხვა ყურები არა მაქვს, ბატონო მასწავლებლო — თავი იმართლა ბიჭუნამ.




ეროვნული  
საბჭოთაო გამომცემლობა





**ვენიკაბოკის ახალი პროფესია**

მიჩვეულნი ვართ, რომ სიცხეში ესოდენ საჭირო ელექტროვენტილა-



ტორი წელიწადის დანარჩენ დროს, ბარე 8-9 თვის მანძილზე უქმად არის მიგდებული. არადა, მიუმატეთ ვენტილატორს სულ უმნიშვნელო დეტალი, გადააკეთეთ იგი და მთელ წელიწადს მოგემსახურებათ.

თავად დარწმუნდით: ელექტროვენტილატორს ღერძზე ბურღი მიამაგრეთ და ხელთ გეჭენებით დიდებული ავტომატური საბურღი მოწყობილობა, რომლითაც იოლად გახვრეტთ, ხე იქნება თუ პლასტმასის საგნები. (თუ ბურღი არა გაქვთ, თვითონ შეგიძლიათ მისი დამზადება ველოსიპედის მანისა ან მავთულისაგან).



ვენტილატორის ღერძულას მრგვალი სალესი ქვა ან ხერხეშა ქაღალდგადაფარებული ხის ბორბალი წამოაცვით, ვენტი-

ლატორის მთლიანად ავტომატურ სალესზე რასაც გნებავთ, იმას გალესავთ. შეგიძლიათ ქაღალდი ხავერდით ან სხვა რბილი ქსოვილით შეცვალოთ და მისი საშუალებით ავეჭი გააპრილოთ.



ალუბლის, ბლის, ატმის, ღოდნოშოს მურაბის თუ კომპოტის მოდუღებისას ნაყოფიდან კურკის გამოღება ჭირს. ჩამოაცვით ვენტილატორის ღერძს აქ გამოხატული „კურკის გამოსაცლელი“ და მისი საშუალებით ერთ წამში შეძლებთ კურკისა და ნაყოფის ხორცის განცალკევებას.



ვენტილატორის ღერძულაზე წამოცმული სპირალი, მოხრილი მავთუ-

**ს ა კ ი ე ბ ე ლ ი**

მ. შალაშვირიძე — დროა ეძიოთ სიკეთის წყარო (ლექსი) ვარკეანზე . . . . .	2	ბ. მახარაძე — ბათო, ჩემო ბათო (მოთხრობა) . . . . .	16
თ. ვაშაძე — ნორჩ არმიელთა სამი დღე (ნარკვევი) . . . . .	1	ი. ჯანდიერი — ხერთვისი (წერილი) . . . . .	22
ბ. კახახიძე — მეც ბებოს ვუთხარ: — ლენინი ვნახე (ლექსი) . . . . .	4	თ. ხანიძიძე — ალორძინების ხანის ხუროთმოძღვრება (წერილი) . . . . .	24
ბ. არველიანი — ქართველი ხალხის შეგობარი (წერილი) . . . . .	7	ჯ. შილია — ლექსები . . . . .	29
მ. თუმანიანი — ირემი (მოთხრობა) . . . . .	9	ქ ა დ ო ს უ რ ი ს ა რ კ ე	80
მ. ხარბიანი — ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო . . . . .	12	ჭ ა დ რ ა კ ი	81
ბ. მუხარბიანი — ლექსები . . . . .	14	უ ც ხ ო უ რ ი ი უ მ ო რ ი	81
ახალი წიგნები . . . . .	15	გ ა მ ო გ ა დ გ ე ბ ი	82
		ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი	გარეგ. მე-8 გვ.

ვარკეანის პირველ გვერდზე: „იბლიანი თევზაობა“. მხატვარი ბაბაი თავეშაძე.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შილია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბაღია, ნოდარ მუხარბიანი, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, შუკრან ლეგანიძე, ჯუანშერ ლეგანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გიორგი ფოცხვიანი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 83-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 83-97-08 93-53-05 განყოფილებების — 83-97-02 93-97-01

საქ. კა. ც. -ის გამოცემების სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14. «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии. Типография изд.-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. გადართვა ასაწყობად 18/VII-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/VIII-69 წ. ქაღალდის ფორმატი 60X90<sup>1</sup>/<sub>8</sub>. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. პირობითი 4. შვეკ. № 2180. ტირ. 108.700. უგ 00866.

ფასი 20 კაპიკო

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.





ეროვნული  
დემოკრატიული რესპუბლიკა


306 ვის ეძახებოდა?

დახედეთ ამ ნახატს და გამოიცანით, ვის ვის არ ელაპარაკება, ოღონდ ეცადეთ, ხაზებს არც თითი გააყოლოთ და არც ასანთის ღერი.




12-დან 2

ამ თორმეტი ფრანიდან ორი ხავსებით ერთნაირია. რომლები?




ლი ან ჩვეულებრივი ბარის მსგავსი ლითონის ერთი ციკქნა ნაჭერი უებრო საშუალებაა კრემის, მუსის, კოკტილის მოსარევად თუ ცომის მოსაზელად.



ცხადია, რაც უფრო მძლავრია ვენტილატორი, მით უფრო მეტი საშუაოს შესრულება შეუძლია მას. საერთოდ გახსოვდეთ, ძრავა არ უნდა გადახურდეს, სანამ „დაიღლებოდეს“, მანამ უნდა გააჩეროთ.


პატარები ვერ სწვდებიან ხოლმე ბაკანსა და ონკანს. ამიტომ ხელპირის დაბანისას უფროსის დახმარება სჭირდებათ. გააკეთეთ ეს მოხერხებულ სკამი და დარწმუნდებით, რომ თქვენი უმცროსი დები და ძმები ხელპირს დამოუკიდებლად და ხალისითაც დაიბანენ.



### პესუნი № 8-ში მოთავსებულ სხრაკლიგულზე

ერთი გადაჭრით

მეშვიდე ფიგურიდან კვადრატი რომ მიიღოთ, იგი შუაზე უნდა გადაჭრათ, გადააბრუნოთ და ერთმანეთს ისე მიადგათ.



ფანტასტური (კოპილი)

ბეჭემოტი, ძროხა, ცხენი, ვეფხვი, მგელი, ირემი.

- ვერტიკალურად:
- 1. მიწა; 2. ალასკა; 3. დანტონი; 4. კომპასი; 5. პარიზი; 6. აბაი; 7. ენგელსი; 8. პრუდონი; 9. იანვარი. 10. უიტმენი; 11. ამერიკა; 12. კამპანია; 13. ოკეანეთი; 14. ტულონი; 15. პრუსია; 16. პური; 17. აისი;
- ჰორიზონტალურად:
- 1. მინა; 5. პინა; 18. არისტოკრატია; 19. კაპიტალიზმი; 8. პრიზი; 10. ურიკა; 20. ვერდი; 21. წვიმა; 22. ურო; 23. ირანი; 24. ისკრა; 16. პროლეტარიატი; 25. კონსტიტუცია; 26. ინდი; 27 ადლი.

ქ  
რ  
ო  
ს  
3  
ო  
რ  
დ  
ი



# წიგნი სემოლოები

სსპდასსვა შუანაღმრთე



ინდეკსი 76157

